ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი-კვირა

21 სექტემბრიდან
„ახალი თაობა“
+
რობერტ ფიშერი
8 ლარი




ეროვნული ბიბლიოთეკა

22 — 23 სექტემბერი, 2012 №226 (5916) ფასი: 30 თეთრი



## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „გლდანის ციხეში პატიმრების წამება შეწყვეტილია“

გვ.4



## ზაზა ხატიაშვილი: „პატიმარი გააუპატიურეს და ჩვენება შეაჭამეს“

გვ.2



ვისი წყალობით გავრცელდა პატიმრების წამების ამსახველი კადრები

## გელა ნიკოლეიშვილი: „ახალაიას ქვეყნიდან გააპარებენ“

გვ.3



## ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილო, რაც შეიძლება მალე დატოვე თანამდებობა!“

გვ.4



## სტუდენტებს 30.000 ადამიანის გამოყვანა შეგვიძლია!

გვ.6



## მამუკა გიორგაძე: „ეკლესიაზე ზეწოლას ვერავინ გაბედავს!“

გვ.5



## ურუშაძეს კარი აუჭედეს

გვ.6



## თემურ შაშიაშვილი: „სკამის გადასარჩენად სააკაშვილი საკუთარ დედასაც გაწირავს!“

გვ.4

ISSN 1987-9385

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაზა ხატიაშვილი: „პატიმარი გააუპატიურეს და ჩვენება შეაჭამეს“

გულიკო ბალაძე

**უკვე წლებია, რაც სააკაშვილი, მისი რეჟიმის წარმომადგენლები და დაქირავებული „პიარშჩიკები“ საზოგადოებას ტვინს ურეცხავენ, თითქოს ისეთი რეფორმა ჩაატარეს, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან, მათ შორის, საფრანგეთიდან ჩამოდიან და სწავლობენ მათ გამოცდილებას.**

გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული ამაზრზენი ფაქტების გამოაშკარავების შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო სისტემის მარცხი. რა სისტემის მარცხი მოხდა, ყველამ ვიცით. ჟურნალისტები ამის თაობაზე მუდმივად ვწერდით ჩვენი გაზეთის მეშვეობით ჩვენს სტატიებსა თუ ინტერვიუებში. ქვეყნის პირველი პირი დაგვცინოდა, რეჟიმის წარმომადგენლებს კი მოუწოდებდა, რომ გაზეთები არ წაეკითხათ.

მიხეილ სააკაშვილს მინდა ვკითხო: ბატონო სააკაშვილო, თქვენც ხომ ძალიან კარგად იცოდით, რომ ადამიანებს აწამებდნენ თქვენი სანქციით. სანქცია კი მაშინ გაეცით, როცა ქვეყანაში ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადეთ. თქვენ იცოდით, როგორ აწამებდნენ ციხეებში თქვენი სანქციით, მაგრამ გაწყობდათ, რადგან გინდოდათ, დამონებული გყოლოდათ პატიმრები. ამით თავს იქებდით, ჩამოგყავდათ სპეციალურად ვიღაც-ვიღაცები და აცხადებდით, თითქოს თქვენი წარმატებული რეფორმებით მთელი მსოფლიო იყო დაინტერესებული. უფრო მეტიც, თითქოს თქვენი რეფორმების, თქვენი გამოცდილების ექსპორტს ახდენდნენ, მაგრამ, როცა საშინელი, საზარელი წამებების თაობაზე საზოგადოებისთვის ყველაფერი ცნობილი გახდა ვიდეოკადრებით, მაშინ „ძალიან გაბრაზდით“, რადგან გამჟღავნდა, რომ ციხეებში სადისტური მოქმედებებისთვის მწვანე შუქი გქონდათ ანთებული.

მიხეილ სააკაშვილის სახელზე არაერთი განცხადება-საჩივარი შედიოდა კანცელარიაში საპატიმრო ადგილებში ადამიანების სასტიკი წამებების თაობაზე. განცხადების ავტორები პრეზიდენტს ატყობინებდნენ მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე და დახმარებას სთხოვდნენ. ახლა რომ მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურორს, იუსტიციის მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს, რომლებიც მამა აბრამის ბატკნებივით მსხდარი ვიხილეთ მის გვერდით, ასევე ძალადობის შემოქმედნი არიან არა მხოლოდ ციხეებში, არამედ თბილისის ქუჩებში.

საინტერესოა, პასუხს ადეიშვილს რატომ არავინ სთხოვს, პენიტენციური სისტემა ხომ მას ექვემდებარებოდა და მისი ზედამხედველობის ქვეშ იყო და არის ჯერჯერობით. ბაჩო ახალაიასა და ხათუნა კალმახელიძესთან ერთად ადეიშვილის, მერაბიშვილის, ზოდელავასა და თვით სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ორი მინისტრის გადადგომა არაფერს ნიშნავს.

არაერთი წელია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე საერთაშორისო ორგანიზაციებს, ევროსტრუქტურებს სთხოვს, სააკაშვილი და მისი რეჟიმის წარმომადგენლები პერსონა ნონ გრატად გამოაცხადონ, რადგან საქართველოში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები და ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნა მიმდინარეობს.



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისებთან სააკაშვილისა და მისი რეჟიმის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებისა და მხარდაჭერის შეწყვეტის მოთხოვნით, პერმანენტული აქციები დაიწყო. ამ მიზნით ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა მთელი ადვოკატთა კორპუსის მობილიზაცია გამოაცხადა. 20 სექტემბერს მათ ევროკავშირის ოფისის წინ გამართეს აქცია.

პატიმართა წამებისა და გაუპატიურების შემზარავი კადრების გავრცელების შემდეგ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მთელი ადვოკატთა კორპუსის მობილიზაცია გამოაცხადა და პერმანენტული აქციები წამოიწყო.

ადვოკატები ევროკავშირის საქართველოს მისიის ოფისთან შეიკრიბნენ და ევროკავშირის ელჩთან საქართველოში ფილიპ დიმიტროვთან შეხვედრას ითხოვდნენ. თუმცა, საელჩოს წარმომადგენლის განცხადებით, დიმიტროვი იმჟამად იქ არ იმყოფებოდა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა მას განუცხადა, რომ თუ ფილიპ დიმიტროვი გიგა ბოკერიას ხვდებოდა და მასთან ერთად რესტორანშიც სადილობდა, ადვოკატებსაც უნდა შეხვედროდა.

ადვოკატები მისული იყვნენ პლაკატებით, რომლითაც საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერის შეწყვეტას მოუწოდებდნენ: „საქართველოს ადვოკატთა კორპუსი მოითხოვს, ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა შეწყვიტოს სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მხარდაჭერა“.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილს თეთრი მაისური ეცვა წარწერით: „შეწყდეს ადვოკატთა კორპუსის დევნა“.

ადვოკატებს ამ სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლების ფოტოსტენდიც ჰქონდათ, სადაც წარმოდგენილი იყვნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ძმები კუბლაშვილები, ძმები ახალაიები, გიორგი არველაძე.

ფილიპ დიმიტროვის შეხვედრაზე დათანხმებამდე ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა:

— ადვოკატთა კორპუსი მოვითხოვთ ფილიპ დიმიტროვთან შეხვედრას. არ გამოდის გარეთ. ეტყობა, ბოკერიასა და სხვებს ეკითხება, გამოვიდეს თუ არა, — ასეთი ვარაუდი გამოთქვა ზაზა ხატიაშვილმა, — მე რომ ვამბობ, ევროკავშირის ელჩის დუმილმა მოგვიტანა ის, რაც ხდებოდა, ევროკავშირის ელჩის დუმილმა გააუპატიურა ის ხალხი. როდესაც მე ერთი წლის წინ პირადად გადავეცი არქანიას გაუპატიურების საქმე, მან განცხადება არ გააკეთა. დღეს კი, როდესაც ვიდეომტკიცებულებებია, დამალულია და არ გამოდის.

**ზაზა ხატიაშვილი ხელმოწერების შეგროვებითა და საქართველოდან ბაროზოს გაწვევითაც იმუქრებოდა.**

— შევაგროვებთ ახლა ხელმოწერებს და მივმართავთ ევროკავშირს, რომ ეს კაცი საქართველოდან გასაწვევია, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

***— ბატონო ზაზა, მგონი, ევროკავშირმა განცხადება გააკეთა.***

— ეგ არ არის სათანადო განცხადება. უნდა მოითხოვოს სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება და არა მხოლოდ იმ დამნაშავეების დასჯა. საქართველოს ადვოკატთა კორპუსი მოვითხოვთ, ევროკავშირის ელჩმა შეწყვიტოს სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერა. ევროკავშირის ელჩი რომ მდგარიყო თავის სიმაღლეზე, სააკაშვილის რეჟიმი იმას ვერ ჩაიდენდა, რაც ჩაიდინა. ერთი წლის წინ, როდესაც აწამეს მალხაზ არქანია, მე პირადად ევროკავშირის ელჩს გადავეცი წერილი, სადაც მალხაზ არქანია საუბრობდა გაუპატიურებაზე და რომ მას ჩვენება შეაჭამეს და ა.შ. რამდენჯერმე ადამიანი მოკვდა წამებით, მაგრამ ევროკავშირის ელჩის განცხადება არავის უნახავს. თავისი დუმილით ევროკავშირის ელჩი აძლიერებდა სააკაშვილის რეჟიმს. ადვოკატთა კორპუსი ვითხოვთ, ევროკავშირის ელჩმა შეწყვიტოს სიჩუმე, გამოვიდეს, მოითხოვოს სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება და არა იმ პირების, რომლებიც ასრულებენ რეჟიმის მითითებას. 10 ადამიანი უნდა დასაჯონ და ამაზე უნდა გადაიაროს. თუ ფილიპ დიმიტროვი ამას არ გააკეთებს, ადვოკატთა კორპუსი მივმართავთ ევროკავშირს, რომ ის გაწვეულ იქნეს საქართველოდან. ასევე თუ არ შეგვხვდება, ადვოკატები მივმართავთ ხოსე მანუელ ბაროზოს, რომ ევროკავშირის ელჩი საქართველოში უნდა გაიწვიოს, იმიტომ რომ ის არის სააკაშვილის რეჟიმის მხარდამჭერი და არა ევროკავშირის წარმომადგენელი, რომელიც ვალდებულია, მიაწოდოს სწორი ინფორმაცია საქართველოში არსებულ სისხლისმსმელ რეჟიმზე. მთელი ადვოკატთა კორპუსი არის შეურაცხყოფილი, არის ერთად, მობილიზებული და ჩვენ, ადვოკატთა კორპუსი გავაგრძელებთ პერმანენტულ აქციას, ვიდრე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება არ მიიღებს მათგან პასუხს, რომ ეს არის რეჟიმი. თუ ლუკაშენკო არის რეჟიმი, რატომ არ არის სააკაშვილი რეჟიმი, რომელიც ათჯერ მეტ უბედურებას უკეთებს საქართველოს.

***— ბატონო ზაზა, ჩვენ ხშირად დაგვიწერია იმის შესახებ, რაც საქართველოს ციხეებში ტრიალებს. თუმცა, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. პირიქით, სააკაშვილი მუდმივად აცხადებდა, რომ პენიტენციური სისტემის ისეთი რეფორმირება მოახდინა, რომ ევროპის დემოკრატიული ქვეყნებიდან, კერძოდ კი საფრანგეთიდან ჩამოდიოდნენ გამოცდილების გასაზიარებლად. რა პრაქტიკა შეიძლებოდა გაეგლო და რა გამოცდილება შეიძლებოდა გაეზიარებინათ ფრანგებს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში?***

— ელემენტარულად, ეტყობა, უნდა ასწავლონ, როგორ გააუპატიურონ ადამიანები. წელიწად-ნახევრის წინ ევროკავშირის პრეზიდენტისაგან მოვითხოვე ამ რეჟიმის წარმომადგენლების, სამოქალაქო საზოგადოების მტრების პერსონა ნონ გრატად ცნობა. ფილიპ დიმიტროვისაგან ვითხოვთ, მიაწოდოს სწორი ინფორმაცია. ფილიპ დიმიტროვმა რომ მიაწოდოს სწორი ინფორმაცია, ეს პროცესი ძალიან მალე დაიწყება. მე წარვადგინე სხვადასხვა ინფორმაცია. ჩვენ დავიწყეთ ეს ბრძოლა. ვიღაც-ვიღაცებმა თავი დღეს წამოყვეს, ჩვენ კი ორი წელია ვიბრძვით ძალადობის წინააღმდეგ. სამოქალაქო საზოგადოებას არაერთხელ მივმართე, ადვოკატებს გვერდით დაგვიდექით და მოვითხოვოთ სააკაშვილისა და მისი რეჟიმის წარმომადგენლების პერსონა ნონ გრატად ცნობა-მეთქი. ყველა დაიმალა. ამ დროს ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. ფილიპ დიმიტროვს ერთხელ შევხვდით, მაგრამ იმ შეხვედრამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. მაშინ მონიტორინგის საბჭოზე იყო საუბარი. ერთხელ მე, მამუკა ნოზაძე და სამი ადამიანი შევხვდით ევროსაბჭოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილეს, მაგრამ ვერავითარი შედეგი ვერ მივიღეთ. ამას წინათ ევროკავშირის ეგიდით წიგნი გამოვიდა და იქ ჩაიწერა, რომ მიმდინარეობს ადვოკატების დევნა. ეს ჩაწერა ტომას ჰამერბერგმა. ჩვენი ბრძოლით ვაღიარებინეთ ევროკავშირს, რომ მიმდინარეობს ადვოკატების დევნა. ჩვენ ვითხოვთ, რომ უნდა იყოს მკაცრი პოზიცია. მე ორშაბათს ბრიუსელში ჩავატარე მიტინგი ევროპარლამენტის წინ, მთელი სამოქალაქო საზოგადოების სახეები იყვნენ იქ და ვთხოვე ევროპარლამენტარებს დახმარება. ჩვენ ვითხოვთ სააკაშვილის რეჟიმის დასამარებას. დიმიტროვს ვთხოვთ, შეწყვიტოს მხარდაჭერა. ეს, მე მგონი, არავისი შეურაცხყოფა არ არის. დუმილი არის მხარდაჭერა. ადამიანს რომ აუპატიურებენ და შენ უყურებ და იცინი, ეს არის მხარდაჭერა. რომ ხედავ, ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი იმედა ნიკურაძე მხოლოდ იმის გამო დაიჭირეს, რომ მტკიცებულება მოითხოვა და შენ ამაზე ხმას არ იღებ, ესეც მხარდაჭერაა. შეგახსენებთ — ჰომოსექსუალისტები რომ ჩამოვიდნენ, მიკროფონი ხელიდან ვერ გააგდებინეს, მათი უფლებები ირღვევაო. ხალხს ხოცავენ და განცხადებას არავინ აკეთებს. ეს ხომ საშინელებაა. კი ბატონო, დაირღვა მათი უფლება, მაგრამ ჰომოსექსუალისტზე მეტი უფლება არ დაერღვათ ადვოკატებს, რომ აპატიმრებენ, სცემენ? ირინა სალინაძეს გაუპატიურებით რომ დაემუქრნენ, ეს ფაქტი არ იყო საკმარისი? ეს არის რეჟიმის მხარდაჭერა.

***— სააკაშვილმა ყურები რომ გამოგვიჭედა იმის ძახილით, პენიტენციალურ სისტემაში „წარმატებული რეფორმა“ ჩავატარეო, საზარელი კადრების გავრცელების შემდეგ, სააკაშვილის შეფასებით, ეს წარმატებული რეფორმები კი არა, სისტემის მარცხი ყოფილა, ანუ როგორია თქვენი შეფასება?***

— მარცხი კი არ მოხდა, არამედ სააკაშვილმა აღიარა, რომ იყო პირსისხლიანი, ძალადობრივი რეჟიმი. რასაც ზაზა ხატიაშვილი აცხადებდა ორი წლის განმავლობაში, რომ ხალხს აუპატიურებდნენ, რასაც თქვენ წერდით, ის დადასტურდა. ადვოკატები საკუთარი სისხლის ფასად ვიცავდით ადამიანის უფლებებს. ადვოკატი რომ მიდიოდა, ადამიანს იცავდა, შეიძლებოდა, ციხეში წასულიყო, მაგრამ მაინც იცავდა. ეს არის ჩვენი ღირსება.

***— თქვენ ითხოვთ სააკაშვილისა და მისი რეჟიმის წარმომადგენლების პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას. ეს საქმეს უშველის თუ ისინი უნდა გასამართლდნენ?***

— გასამართლება იწყება, თუ აღიარებენ მათ სამოქალაქო საზოგადოების მტრებად. აქედან უნდა დავიწყოთ.

აქციის ბოლოს საელჩოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ადვოკატებს დიმიტროვის პასუხი გამოუტანა: გიგა ბოკერიას არ შევხვედრივარ, ადვოკატებს კი ორშაბათს 11 საათზე შევხვდებიო.

იმავე ხასიათის აქცია იმავე მოთხოვნებით გუშინ გაეროს წარმომადგენლობის წინაც გაიმართა. ორშაბათს 4 საათზე კი ადვოკატები სააკაშვილის რეჟიმის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებისა და მხარდაჭერის შეწყვეტის მოთხოვნით ამერიკის საელჩოსთან შეიკრიბებიან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნონა ცაბაძე

**უკვე ოთხი დღეა მთელი საქართველო აქციებმა მოიცვა. ყველა, დიდი თუ პატარა, პატიმრებზე და მათი უფლებების დაცვაზე საუბრობს. მოხსნილია შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი ხათუნა კალმახელიძე, თუმცა საზოგადოებას ეს არ აკმაყოფილებს და მათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს. იმის მიუხედავად, რომ არჩევნები კარს არის მომდგარი, სხვა მთავარი თემა ქვეყანაში არ არსებობს.**

# გელა ნიკოლეიშვილი: „ახალაიას ქვეყნიდან გააპარებენ“

## ვისი წყალობით გავრცელდა პატიმრების წამების ამსახველი კადრები



ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ის ადამიანია, რომელიც ყოველდღე საუბრობდა იმის შესახებ, რაც საზოგადოებისთვის დღეს გახდა ცნობილი. თუმცა თავადვე აცხადებს, – ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო და, როგორც ჩანს, ამ ეფექტმა იმოქმედა საზოგადოებაზე. ჩემთვისაც კი და ჩემი კოლეგებისთვისაც, რომლებმაც ეს თეორიულად იცოდნენ, სხვადასხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი მინიშნებებით თუ გადმოცემებით პატიმრების მხრიდან, ჩვენთვისაც ეს იყო შოკი. ყველანაირ საზღვარს გადასცდა ის სადისტობა, რომელსაც ჩვენ ვუყურეთ. ამის შეფასებები იმდენი გაკეთდა, რომ ამის გაგრძელებას აზრი არა აქვს. უბრალოდ, როგორც ჩანს, ეს იყო ბოლო წვეთი იმ მოთმინების ფიალაში, რომელიც ჩვენს ხალხს ჰქონდა და ეს ბოლო წვეთი გადმოვიდა. ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდებოდა. ამის მაპროვოცირებელი შეიძლება ეს ან სხვა ნებისმიერი მსგავსი ფაქტი ყოფილიყო. მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც უნდა განვითარებულიყო. ყველანაირი რეჟიმი სწორედ ასე ამთავრებს. ჩვენ მოვესწარით ასეთი რეჟიმების დამთავრებას, განსაკუთრებით, ჩვენი თაობა. დაწყებული კომუნისტური რეჟიმის დამთავრებიდან, რომელთან მსგავსებაც ძალიან ბევრი და დიდი ჰქონდა აი ამ რეჟიმს, რომელიც დღეს მთავრდება და შუაში გავიარეთ კიდევ სხვადასხვა ტიპის და სხვადასხვა ხასიათის რეჟიმების დამხობები და შეცვლები, მაგრამ ასეთი ტოტალიტარული რეჟიმის შედარებაც კი არ შეიძლება იმ წინა რეჟიმებთან, – აცხადებს ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი.

**გელა ნიკოლეიშვილი:**

– ეს ხელისუფლება სწორედ რომ ტოტალურ კონტროლს ახორციელებს საზოგადოებაზე და ისინი არც უარყოფდნენ, რომ მასობრივად უსმენდნენ ადამიანებს, მასობრივად უთვალთვალებდნენ და ფაქტობრივად ისეთი კანონები მიიღეს, რომ სრულიად ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ხდება ქუჩაში გაჩერება, ჩხრეკა, წაყვანა ნარკოლოგიურ კონტროლზე სრულიად უმიზეზოდ. აი, ეს არის ტოტალური კონტროლი, მეტი კი არაფერი. საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებშიც კი არ იყო ასეთი რეჟიმი. მადლობა ღმერთს, რომ ქართველმა ხალხმა გამოიღვიძა და ბოლოს და ბოლოს ხდება ამ რეჟიმის დამთავრება.

*– თქვენ რამდენად გჯერათ იმ ვერსიის, რომ მართლაც ვანო მერაბიშვილის მხრიდან მოხდა ამ ფაქტების სააშკარაოზე გამოტანა და მისი მხრიდან რა ინტერესი დევს ამაში?*

– ძნელია, რა თქმა უნდა, ამის დაჯერება, თუმცა ამის გამორიცხვაც არ შეიძლება. იმიტომ, რომ ადამიანები, რაც არ უნდა ფანატიკოსები იყვნენ და რაც არ უნდა ანტიდემოკრატიული წყობის იყვნენ შინაგანად, ისინი ინსტინქტურად მაინც ცდილობენ საკუთარი თავის გადარჩენას. მე ვერ ვიტყვი იმას, რომ ვანო მერაბიშვილს ან სააკაშვილის სხვა გარემოცვას ეს მცდელობა პოლიტიკურად გადაარჩენს, მე იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება. ბოლოს და ბოლოს, ამას ქართველი ხალხი არ აპატიებს ახალ ძალასაც კი, თუ ისინი პოლიტიკურად ცოცხლებად დატოვებენ მათ, გვერდში დაიყენებენ და რაიმე გავლენის სფეროს მიცემენ, მაგრამ ადამიანურად შეიძლება მათ ჰქონდეთ ამისი სურვილი, რომ უბრალოდ გადარჩნენ და ქუჩაში გამოსვლა შეეძლოთ. სააკაშვილის გარემოცვიდან ბევრს ქუჩაში გამოსვლა არა თუ არ შეეძლება, ისინი თუ ქვეყანაში დარჩნენ, აუცილებლად მათი ადგილი ციხეში იქნება. გარკვეულწილად რაღაცა გარანტიების მიღების სურვილმა შეიძლება აიძულოს მერაბიშვილი იქნება ეს თუ სხვა, აი ასეთი ნაბიჯები გადადგას და ბოლოს ასე გამოვიდეს, რომ სწორედ მათ ააცილეს დიდ სისხლისღვრას ქვეყანა. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული რეაბილიტაცია იქნება, ოღონდ არა პოლიტიკური რასაკვირველია, უბრალოდ, ადამიანური.

*– თქვენი აზრით, ეს რამდენად იყო დაპირისპირება მერაბიშვილსა და ახალაიას შორის?*

– თუ ის ფაქტი, რასაც ამბობენ, რომ ეს მართლაც მერაბიშვილის უწყებიდან მისი ხელშეწყობით გამოვიდა, რაშიც პირადად მე 90%-ით ეჭვი მეპარება, რომ ეს ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ვუშვებ მაინც 10%-ს, რომ ასე იყოს, მაშინ შესაძლებელია, რომ ეს დაპირისპირების შედეგი იყოს ახალაიასა და მერაბიშვილს შორის. ასეთ შემთხვევაში მაშინ ჩვენ შემდგომი ნაბიჯები უნდა ვიხილოთ მერაბიშვილის მხრიდან. ეს ნაბიჯები კი უნდა იყოს ახალაიას დაპატიმრება და შემდეგ უკვე არ არის გამორიცხული სააკაშვილის მიმართ დევნის დაწყებაც, ოღონდ ეს უნდა მოხდეს უახლოეს ათ დღეში, არჩევნებამდე. ამ პერიოდში შესაძლოა ჩვენ მომსწრე გავხდეთ ასევე რადიკალური ნაბიჯების ამ მიმართულებით. მე ამას ვუშვებ 10%-ით, თუმცა 90% მგონია, რომ ეს კი იყო ადამიანების თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე, მაგრამ შესაძლოა ეს უშუალოდ არა მერაბიშვილისგან მომდინარეობდა, არამედ იმ კონკრეტული პირებისგან, რომლებმაც გამოიტანეს ეს ჩანაწერები გარეთ, ანუ რიგითი თანამშრომლების მხრიდან.

*– ცნობილია, რომ ბაჩო ახალაია უკვე გადადგა თანამდებობიდან, როგორ ფიქრობთ, ამით სააკაშვილი ხომ არ ცდილობს, რომ ჯოხი მხოლოდ მასზე გადატეხოს და ტყავი გადაირჩინოს?*

– რა თქმა უნდა, ის ამას ცდილობს. როდესაც გემი იძირება, გემის კაპიტანი ზედმეტ ბარგს ყრის ხოლმე გემიდან, რომ სიმძიმე მოაკლდეს გემს და სააკაშვილისთვის ახალაია მართლაც რომ ძალიან დიდი ტვირთი და სიმძიმე იყო. რასაკვირველია, უამრავი მტკიცებულება არსებობს ახალაიას წინააღმდეგ, ძალიან ბევრი პატიმარი პირადად ჩემთან და ჩემს კოლეგებთან საუბარში აღწერდა, როგორ მონაწილეობდა ახალაია უშუალოდ წამებებში. მტკიცებულებების მოპოვება საერთოდ არ გაუჭირდება საგამოძიებო ორგანოს ახალაიას წინააღმდეგ თუ ის ამას მოინდომებს. დაკავებულებისგანაც არის შესაძლებელი ამ მიმართულებით ჩვენებების მიღება. თუ ახალაია არ გააპარეს ქვეყნიდან, შესაძლოა იქამდეც მივიდეს საქმე, რომ ის ციხეში აღმოჩნდეს.

*– თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა დააპატიმრონ ახალაია?*

– მე ამ პერიოდში, ამ ათი დღის განმავლობაშიც არ გამოვრიცხავ ამას, რომ ის იქნეს დაპატიმრებული. თუ ეს არ მოხდა და ახალაიამ ვერ მოასწრო ქვეყნიდან გაქცევა, ახალი ხელისუფლება ამას აუცილებლად გააკეთებს. ის ვალდებულია ეს გააკეთოს, არა იმიტომ, რომ ვინმეს მისი ჯინი ჭირს, არამედ იმიტომ, რომ ის არის სისხლის სამართლის დამნაშავე. უამრავი მტკიცებულება არსებობს ამის დამადასტურებელი. როგორც სააკაშვილი ამბობს, ნულოვანი ტოლერანტობა დამნაშავის მიმართ. დამნაშავის მიმართ, დიახაც, უნდა იყოს ნულოვანი ტოლერანტობა, მაგრამ უნდა იყოს ეს ყველაფერი კანონის ჩარჩოებში, ადეკვატური სასჯელი უნდა იყოს. არ უნდა იყოს 30 და 40 წლიანი პატიმრობა, არ უნდა იყოს გაუსაძლისი პირობები პატიმრების მიმართ, თორემ ყველა დამნაშავე, რა თქმა უნდა, უნდა დაისაჯოს. პირობითი სასჯელიც სასჯელია, ჯარიმაც სასჯელია, რამდენიმე წლით პატიმრობაც და არა ასე სადისტურად, ერთი შეცდომის გამო ადამიანს მთელი ცხოვრება კი არ უნდა მოუსპო, არამედ ადეკვატური სასჯელი. ბაჩო ახალაიასთვის რაც იქნება ადეკვატური სასჯელი, ამას უკვე დამოუკიდებელი სასამართლო თვითონ გადაწყვეტს.

*– ბაჩო ახალაია სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრია, ის ძალიან დიდ ინფორმაციას ფლობს. თქვენი აზრით, რამდენად გაუშვებს სააკაშვილი მას ციხეში?*

– სწორედ ამიტომაც ცოტა ეჭვი მეპარება, თუმცა ის ახლა საღ აზრს ველარ ექვემდებარება, გონივრულ ნაბიჯებს ველარ დგამს და არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილმა ჩათვალოს, რომ ახალაიას დაპატიმრება მას გადაარჩენს, თუმცა მე არა მგონია, რომ ამან გადაარჩინოს სააკაშვილი. ახალაიას გაშვება საზღვარგარეთ, თუნდაც იმ ილუზიის შექმნა, რომ ის გაიქცა, გაიპარა და მასზე ძებნა გამოცხადდა, ეს თეთრი ძაფებით იქნება ნაკერი. თუ მან გადაწყვიტა, რომ რადიკალური ნაბიჯი გადადგას, რადიკალურად გაემიჯნოს ყველაფერს, შეიძლება წავიდეს ახალაიას დაპატიმრებაზეც, თუმცა ვიმეორებ, ეს მას არ უშველის. ახალაია იქნება თუ ნებისმიერი სხვა, მათი ჩვენებების შემდეგ, აუცილებლად მივა კვალი თვითონ სააკაშვილამდე. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი კადრების ნახვა სააკაშვილისთვის პირველი არ იყო.

*– აბსურდია, რომ მას არ სცოდნოდა ის, რაც ციხეებში ხდებოდა...*

– რა თქმა უნდა. მე განვაცხადე და კიდევ ვიმეორებ, ვისაც ამის სჯერა, ის არის ან ბრიყვი, ან იდიოტი, ან ორივე ერთად. ასეთები შეიძლება სულ რამდენიმე ათეული ადამიანი იყოს, მაგრამ საბედნიეროდ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა არც ბრიყვია და არც იდიოტი.

*– ბატონო გელა, წინ არჩევნები გვაქვს, ალბათ დამეთანხმებით, რომ სიტუაცია საკმაოდ დაძაბული და ფეთქებადსაშიშია. რა პროცესებს უნდა ველოდეთ? თან ამ ფონზე გამოდის სააკაშვილი და აცხადებს, რომ ის ძალიან სერიოზულ მასალებს აჩვენებს საზოგადოებას და ყველას ეჭვი აქვს, რომ ეს იქნება ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული კომპრომატები...*

– რა თქმა უნდა, ეს ასე იქნება. ის გააცნობს ე.წ. კომპრომატებს, რაღაცა ჩანაწერებს, რაღაცა აღიარებებს, რომ თამაზაშვილმა მოაწყო, ვიღაცამ 2 მილიონი აიღო, ვიღაცა ვიღაცის აგენტია და ასე შემდეგ. თუმცა ეს ველარ შემოაბრუნებს სიტუაციას იმიტომ, რომ დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, რაც უფრო მეტი კომპრომატის მსგავსი შეთხზული ე.წ. მტკიცებულებები იქნება გამოტანილი ხელისუფლების მხრიდან, მით უფრო გაძლიერდება მის მიმართ პროტესტი, იმიტომ, რომ ამას არავინ არ დაიჯერებს. ყველა მიხვდება, რომ ეს არის შეთითხნილი და ეს ისევ და ისევ იმუშავებს ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინი არიან უკვე ისეთ მდგომარეობაში, ცუნცვანგის მდგომარეობაში არიან, არის ასეთი ტერმინი ჭადრაკში, როცა ნებისმიერი სვლა იძულებითია, რადგან მომგებიანი სვლა არც ერთი არ არის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ე.წ. კომპრომატებიც მათ წინააღმდეგ იმუშავებს.

*– სოზარ სუბარმაც გაავრცელა ინფორმაცია, რომ ახალაიებს ოცი ბინა აქვთ დაქირავებული და იარაღით სავსეო...*

– როგორც ჩანს, სოზარს ჰქონდა ამ განცხადების გაკეთების საფუძველი. პროვოკაცია ამ მიმართულებით თუ სხვა მიმართულებით, შეიძლება საზღვარზე ცხინვალთან თუ აფხაზეთთან, იქ რაღაცა შეიარაღებული პროვოკაციებიც იქნეს მოწყობილი ყურადღების გადასატანად, თუმცა ვფიქრობ, რომ უკვე არის ის მომენტი და სიტუაცია იქამდე არის მისული, რომ საღი აზრი მაინც შემორჩებათ მათ და მიხვდებიან, რომ ეს მათ მდგომარეობას ვერ გადაარჩენს. მე მომეცა იმის იმედი, რომ არჩევნები ჩატარდება მშვიდად, მათ მასობრივად არჩევნებს არავინ გააყალბებინებს და მასობრივ მხარდაჭერაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ერთხელ მაინც მოხდება ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა.

*– ათი დღე დარჩა არჩევნებამდე და ეს არც ისე პატარა დროა, მით უმეტეს, ამ ხელისუფლების პირობებში...*

– გეთანხმებით, მე ველოდები, რომ მათ ექნებათ სხვადასხვა მცდელობები პროვოკაციის, მაგრამ რამდენად პერსპექტიულად ჩათვლიან ამ პროვოკაციებს, რაც დაგეგმილი აქვთ, ეს არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად მასშტაბური და აქტიური იქნება ის სტუდენტური გამოსვლები, სამოქალაქო საზოგადოების გამოსვლები, რომელიც თანდათან სიჩქარეს კრეფს და მასობრივი და მასშტაბური ხდება. რაც უფრო დიდი იქნება ასეთი გამოსვლები, მით უფრო ნაკლები შანსი იქნება იმისა, რომ ხელისუფლებამ პროვოკაციებს მიყოს ხელი. რაც უფრო დიდია მასშტაბები ამ პროტესტის, მით უფრო ნაკლები იქნება პროვოკაციები და თვითონაც დაინახავენ, რომ ეს არის კედელი, რომელსაც თავი არ უნდა დაარტყა, თორემ დაიზიანებ. ისინი კარგად ხედავენ, რომ თავიანთ მომხრეებსაც კი ვერ აგროვებენ. მხოლოდ კოორდინატორებიღა შემორჩათ, რომლებსაც ხელფასებს უხდიან. მე იმედი მაქვს, რომ ეს დარჩენილი პერიოდი, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, ხალხს რწმენა უფრო გაუმტკიცდება. თვითონ ნაციონალებიც დაინახავენ, რომ მათი პერსპექტივა ნულის ტოლია. თუკი აქამდე ვამბობდი, რომ 20-25% მაინც ყოფილიყო მათი მხარდამჭერი, რომლებიც დაშინებით, მოსყიდვით და მოტყუებით შეიძლებოდა მოეყვანათ და რომლებსაც შეიძლებოდა მიეცათ ხმა, ვფიქრობ, რომ ახლა მათ საარჩევნო ბარიერის გადალახვის პრობლემაც შეექმნებათ. შეიძლება 5-დან 10%-მდე დიდი გაჭირვებით აიღონ.

# თემურ შაშიაშვილი: „სკამის გადასარჩენად სააკაშვილი საკუთარ დედასაც გაწირავს!“

თეა მარწვაიძე

**საქართველოს მთავრობა ორმა მინისტრმა დატოვა. ბაჩო ახალაიასა და ხათუნა კალმახელიძის გადადგომას ქვეყანაში დიდი ჟრიამული მოჰყვა. მავანმა ეს წარმატებად შეაფასა. ამ გადადგომებს ხელისუფლების მორიგ ხრიკად მიიჩნევს პარტია „თეთრების" თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი.**

მისი აზრით, თანამდებობის პირთა შეწირვები არჩევნების წინ ხალხის გულის მოსაგებად არჩევნების შემდგომ რეჟიმის ბატონობის გაგრძელებისათვის მოხდა.

რატომ არ სჯერა გადადგომების, რას ელოდება სააკაშვილისგან, ამ თემებზე თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**თემურ შაშიაშვილი:**

– ყველამ, ვინც სააკაშვილს იცნობს, იცის, რომ ის სკამისათვის დედასაც გაწირავს და, როგორც იტყვიან, პოლიტიკურ ოპონენტებს ცოცხლადაც კი შეჭამს. ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა გადადგომის ფაქტებს ასე დავარქმევდი: „თანამდებობის პირთა შეწირვები არჩევნების წინ ხალხის გულის მოსაგებად და არჩევნების შემდგომ რეჟიმის ბატონობის გაგრძელებისათვის“. ვიტყვი პირდაპირ და ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე – ეს გაცილებით მეტად არის მიმართული იმ უცხოელთა გულის მოსაგებად, რომლებმაც ნაცმოძრაობას არჩევნების გაყალბება უნდა დაუკანონონ.

გადადგომების ეს სერიალი მიმაჩნია მეტად საშიშ მოვლენად, რადგან ვთვლი, რომ ის ემსახურება პრეზიდენტ სააკაშვილის გადარჩენასა და რეჟიმის შენარჩუნებას.

გავიხსენოთ მაღალჩინოსნების გადადგომათა ჯაჭვი გირგვლიანის მკვლელობის შემდგომ. მაშინ გადადგა დათა ახალაიაც. ყველაფერი ეს მხოლოდ ფორმალობა იყო – გადაარჩინა სააკაშვილის შერყეული და დისკრედიტებული რეჟიმი. ყველას, ვინც მაშინ გადადგა, გაცილებით მაღალი პოსტები უკავიათ დღეს – დათა ახალაია თავდაცვის მინისტრის მოადგილეა. სწორედ მაშინდელი ე.წ. გადადგომის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა და აგრესიული გახდა ახალაიების კლანი.



*– ახლაც ასე იქნება?*

– ყველამ კარგად იცის ავტორიტარული რეჟიმის შენარჩუნების ფორმულა – ყველას გადადგომა ერთის შენარჩუნებისათვის და ამ ერთის შენარჩუნებით რეჟიმის შენარჩუნება და გადამდგართა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში დაბრუნება. ხელისუფლების მიერ ჩადენილ ამაზრზენ დანაშაულთა სრული სია მხოლოდდამხოლოდ მათი რეჟიმის დამთავრების შემდეგ გახდება სრულად ცნობილი საზოგადოებისათვის. რაც გამოაშკარავდება, ის ნანახზე გაცილებით მძიმე იქნება.

დღეს ვერც ერთი, თუნდაც ყველაზე გავლენიანი მაღალჩინოსნის გადადგომა ქვეყანაში ვერ შეცვლის სიტუაციას, გარდა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომისა. მან თავისი ავტორიტარული მმართველობით უამრავი ადამიანი შეიწირა. მსხვერპლშეწირვები დღესაც გრძელდება. ყველამ, ვინც სააკაშვილს იცნობს, იცის, რომ სკამის შენარჩუნებისათვის საკუთარ დედასაც გაწირავს და პოლიტიკურ ოპონენტებს ცოცხლადაც კი შეჭამს.

*– პრეზიდენტმა თქვა, რომ ამ წამების შესახებ მან არაფერი იცოდა. თქვენ გჯერათ, რომ არ იცოდა?*

– რაოდენ მიამიტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ირწმუნოს, თითქოს ციხეებში გაბატონებული სადიზმის შესახებ პრეზიდენტმა არაფერი იცოდა. ვინც სააკაშვილს კარგად იცნობს, მან უწყის მისი სადისტური თვისებების შესახებ – ის სიამოვნებას იღებს, როცა ფიზიკურად უსწორდება თავის ოპონენტებსა და მოწინააღმდეგეებს. სწორედ სააკაშვილის საამებლად და მისთვის ერთგულების დასამტკიცებლად კეთდებოდა ბევრი ისეთი რამ, რაც ქვეყნისთვის იყო საზიანო და ხშირად შემსრულებლებისთვისაც მიუღებელი. „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული სააკაშვილისა და მისი სექტის მიერ აშენებული გამჭვირვალე და ბრჭყვიალა შენობებიდან იმართებოდა ყველაზე ბნელი და ბინძური სპეცოპერაციები. ამ გამჭვირვალე შენობებში იგეგმებოდა საკუთარი მოსახლეობის დარბევა და განსაკუთრებული სისასტიკით ადამიანთა წამება. 2012 წლის მაისში ჩვენ გავავრცელეთ მიმართვა ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში არსებული თავზარდამცემი ფაქტების შესახებ, მივმართეთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას განცხადებით – „ქალაქში მკვლელია და იგი პრეზიდენტია“ და ყველა გახმაურებული თუ მიჩუმათებული მკვლელობების ამსახველი დოკუმენტური მასალა გავავრცელეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ეს რატომღაც ჯეროვნად არ ირწმუნა საზოგადოებამ.

თვითმხილველები ამბობენ, რომ არასოდეს უნახავთ სააკაშვილი ისეთი კმაყოფილი და ხალისიანი, როგორიც 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი ღამის შემდეგ, როცა სპეცრაზმელებმა სადისტურად დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები. იმ ღამის „გმირები“ , მთავარი დამრბევები – ბასიშვილი, უდესიანი და სხვები დღეს „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიებში არიან.

*– საზოგადოებამ მაშინ სათანადოდ არ შეაფასა 26 მაისის დარბევა.*

– 2011 წლის 26 მაისს ამ რეჟიმმა ქართული სული ჩაწიხლა. სამწუხაროდ, ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა მათ ეს აპატია, მეტიც, პოლიტიკურ ლიდერთა უმეტესობას პოზიციაც კი არ დაუფიქსირებია 26 მაისის სასაკლაოს შესახებ. რეჟიმი საბოლოოდ დაარწმუნა საზოგადოების ამ ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ მათი სისხლიანი ე.წ. სპეცოპერაციების მიმართ. სწორედ ამიტომ გამხეცდნენ. რეჟიმის ამაზრზენ დანაშაულთა სია პირდაპირპროპორციულია ჩვენს მოთმინებასთან და შემგუებლობასთან. კალმახელიძეც და ახალაიაც იყვნენ მხოლოდ სააკაშვილის ნება-სურვილის უპირობო და ერთგული შემსრულებლები, მისი მაამებლები. ერთიც და მეორეც თავიანთ თანამდებობებს ინარჩუნებდნენ იმით, რომ მონური ერთგულებით ასრულებდნენ სააკაშვილის ნებისმიერ სურვილს.

*– მათი გადადგომაც სააკაშვილის სურვილით მოხდა?*

– დღეს მათი გადადგომა მხოლოდ ნიღაბია, რომელიც რეჟიმის გადარჩენას ემსახურება. ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ გავლენას და, ღმერთმა ნუ ქნას, 1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ვერ გაიმარჯვოს, ისინი კვლავ მოგვევლინებიან მაღალ თანამდებობებზე. ვაცხადებ სრული კატეგორიულობით – შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს გადადგომების სერიალმა, კარგად გავიაზროთ, რომ ეს გადადგომები ემსახურება არჩევნებს და არჩევნების შემდგომ თითზე კბენანი საქმეს ვერ უშველის! ცალკეული პიროვნებების გადადგომა კი არა, რეჟიმის წასვლაა საჭირო პოლიტიკური ასპარეზიდან და გასამართლება, როგორც ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების, ასევე მოქკავშირ-აღორძინება-ნაცმოძრაობის რეჟიმის, რომელიც აგერ უკვე 20 წელია, შეუცვლელად მართავს ქვეყანას.

დაბოლოს, მინდა ვირწმუნო, რომ ამ ცნობილი მოვლენების შემდეგ ჩვენი უცხოელი მეგობრები ქართველი ხალხის ნებას ჯეროვან მხარდაჭერას მიაგებენ.

# ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილო, რაც შეიძლება მალე დატოვე თანამდებობა!“

თეა მარწვაიძე

ქვეყანაში საკმაოდ რთული ვითარებაა. პატიმრების მიმართ არაადამიანურმა მოპყრობამ საზოგადოება წყობილებიდან გამოიყვანა. ქვეყნის მასშტაბით უკვე ათეულობით აქცია გაიმართა.

მოსახლეობამ და პოლიტიკოსების უმეტესობამ დაგმო ის ფაქტები, რასაც გლდანის ციხეში ჰქონდა ადგილი. მომხდარის გამო სინანული ხელისუფლების წარმომადგენლებმაც გამოთქვეს. მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ მან ამის შესახებ არაფერი არ იცოდა.

ქვეყნის პირველი პირის განცხადებების არ სჯერა ოპოზიციას. ამის არც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს სჯერა, რომელიც იმერეთში მართავს ტურნეს. გუშინ მან ხონის მოსახლეობასთან გამართა შეხვედრა. სწორედ ხონიდან მოუწოდა მან პრეზიდენტს გადადგომისკენ.

ივანიშვილმა ძველი დროც გაიხსენა. გაიხსენა სააკაშვილს რჩევებს, რომ აძლევდა. გადაწყვიტა ახლაც მისცეს რჩევა.

– ეს არის ბარბაროსობა, რომელიც 21-ე საუკუნეში ხდება. ვნახე, ჩვენს საკნებში ჩვენს თანამოქალაქეებს როგორ ექცეოდნენ, მე ძალიან შემრცხვა და განვიცადე. დარწმუნებული ვარ, ასევე განიცადა მთელმა საქართველომ. სააკაშვილს მე 3 წლის განმავლობაში ვეხმარებოდი, უფრო სწორად, საქართველოს ვეხმარებოდი, მაგრამ მას ვაძლევდი რჩევებს და ძალიან ბევრი კარგი რჩევა მიმიცია მისთვის. ახალა მე მას ვაძლევ ბოლო რჩევას და ერთადერთ სწორ გზას ვუჩვენებ – რაც შეიძლება სწრაფად, დღესვე თუ გადადგება ეს იქნება მისთვისვე უკეთესი, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, სააკაშვილის პრეზიდენტის თამდებობიდან გა-



დადგომა გარკვეულწილად ღირსებას შეუნარჩუნებს ქვეყანას, რადგან ვიდეომასალამ მსოფლიო მოიარა და მთელი ცივილიზებული საზოგადოება შეძრწუნებულია.

ხონში გამართულ მეოცნებეთა აქციას რამდენიმე ნორჩი ნაციონალი შეუერთდა. გაირკვა, რომ მათ პარტია პროტესტის ნიშნად დატოვეს და ოცნება დაიწყეს.

მეოცნებეები ექს-ნაცმოძელებს გადაწყვეტილება მოუწონეს. მთავარმა მეოცნებემ კი ყველას ასეთი გადაწყვეტიელბის მიღება ურჩია.

– ვინც ჯერ კიდევ 5-ნომრიან მაისურებს ატარებენ, მინდა, მივმართო, იზიარებენ თუ არა იმ იდეოლოგიას და იმ ყველაფერს, რაც მე-5 საკანში ხდებოდა? სააკაშვილისთვის ბევრი გონივრული რჩევა მიმიცია და ახლაც ვურჩევ, უარყოს თავისი იდეოლოგია და გადადგეს, – კიდევ ერთხელ აღნიშნა ივანიშვილმა.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „გლდანის ციხეში პატიმრების წამება შეწყვეტილია“

თეა მარწვაიძე

გლდანის ციხის გარშემო ვითარება ისევ რთულია. პატიმრების ახლობლები ციხეში შესვლას ითხოვენ. მთელი ამ დღეების განმავლობაში ვრცელდებოდა ცნობები, რომ პატიმრებს ისევ აწამებენ.

ვითარება არც გიორგი ტუღუშის გამინისტრებამ შეცვალა. აწ უკვე ყოფილ სახალხო დამცველს ხალხი აღარ ენდობა.

გლდანის ციხესთან ამ დღეებში ბევრი ცნობადი სახე მივიდა. ბევრმა შიგნით შესვლა და პატიმრების მონახულება შეძლო. მათ შორის იყო დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძეც. მან პატიმრების ახლობლებს კარგი ცნობები გამოუტანა.

დიმიტრი ლორთქიფანიძის ინფორმაციით, გლდანის ციხეში პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის ფაქტები შეწყვეტილია.

– დღეს მთელი დღის განმავლობაში მე ვხვდები პატიმრებს. დაახლოებით ასამდე მსჯავრდებული მოვინახულე, რადგან მათთან გადამემოწმებინა ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციები. ისინი ასახელებენ კონკრეტული თანამდებობის პირების სახელებს და გვარებს და ასახელებენ მეთოდებს, რითაც მათ მიმართ ზეწოლის და შეურაცხყოფის ფაქტები ხორციელდებოდა. დეტალებს ჯერჯერობით ვერ გეტყვით და არ გავახმაურებ იქამდე, ვიდრე არ მივიღებთ უსაფრთხოების გარანტიებს, რომ პატიმრებს არაფერი დაემუქრება. პატიმრები ამბობენ, რომ მათ მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები სწორედ 3 დღის წინ შეწყდა, – განაცხადა დეპუტატმა.

დეპუტატი ლორთქიფანიძე დამოუკიდებელი ორგანიზაციების მონაწილეობით იურიდიულ-სამართლებრივი კომისიის შექმნას მოითხოვს

ლორთქიფანიძე პარტია „თავისუფალ საქართველოს“ წარმოადგენს. მისმა პარტიამ გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

„თავისუფალი საქართველოს“ თერჯოლის მაჟორიტარობის კანდიდატმა იაზონ აბულაძემ კონკურენტს „ნაციონალური მოძრაობიდან“, კახა ბუცხრიკიძეს კანდიდატურის მოხსნისკენ მოუწოდა.

– საზოგადოებისთვის გუშინ ცნობილი გახდა, რომ გადადგა ბაჩო ახალაია – პატიმართა წამების უშუალო ორგანიზატორი. მაგრამ, პარტია „თავისუფალი საქართველო“ ქართველ ხალხთან ერთად მხოლოდ ორი მინისტრის გადადგომას არ შეეგუება. მივიჩნევთ, რომ უნდა გადადგეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს მთელი მთავრობა. „ნაციონალური მოძრაობა“ ცესკო-ში რეგისტრაციიდან უნდა მოიხსნას. თერჯოლაში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატია კახა ბუცხრიკიძე, რომელიც წლების განმავლობაში ბაჩო ახალაიას უახლოესი თანამებრძოლია“ – განაცხადა აბულაძემ.

პარტია კახა ბუცხრიკიძეს მოუწოდებს, დაუყონებლივ მოხსნას კანდიდატურა და წინასაარჩევნო კამპანია შეწყვიტოს.

გლდანის ციხის ამბებს ისევ გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი. მან განცხადება თბილისის იუსტიციის სახლის გახსნაზე გააკეთა.

– ეს ახალი შენობა თბილისის ცენტრში არის იმ ახალი ურთიერთობის სიმბოლო, რომელიც ხალხსა და მთავრობას შორის წარმოიშვა. მთავრობა არსებობს იმისთვის, რომ მოემსახუროს თავის საზოგადოებას. მთავრობა თავისთავად არავითარ განსაკუთრებულ ფასეულობას არ წარმოადგენს. ხალხი არის ყველაფერი. ამიტომ არის ეს შენობა ხალხის სახლი და პირველად ასეთი მასშტაბების რამ გაკეთდა საქართველოში. ეს არის ჩვენი ახალი ინსტიტუტების ეფექტურობის სიმბოლო. ეს არის სრული ანტითეზისი გლდანის №8 საპყრობილისა – წარსულის ამ სამარცხვინო გადმონაშთისა. ეს კონტრასტია ჩაკეტილობასა და გახსნილობას შორის, განსხვავება ახალ ბიუროკრატიასა და ძველ საბჭოთა მეთოდებს შორის და ეს არის განსხვავება წარსულსა და საქართველოს მომავალს შორის. ვერც ერთი წარსული პრაქტიკა ჩვენს ინსტიტუტებში ფეხს ვერ მოიკიდებს, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

იუსტიციის ახალი სახლის გახსნას სასჯელაღსრულების, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრები და შს მინისტრის მო-



ვალეობის შემსრულებელი ეკა ზღულაძეც ესწრებოდნენ.

პრეზიდენტის თქმით, ზემოხსენებული კადრების გამო წინა დღეებში შოკი ყველამ განიცადა, თუმცა შოკის შემდეგ დაფიქრებისა და თვალების ფართოდ გახელის დროა.

– მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ის, რაც ამ დღეებში ხდება, არ არის იზოლირებული ფაქტები, რომელიც თურმე სხვათაშორის არჩევნების წინ ამოვარდა და მრავალი თვე შენახული იყო. გიორგი ტუღუშისთვის რომ ეთქვათ, რომელიც ამ ფაქტებზე ნადირობდა, სისხლის გაგვიშრობდა და ყველაფერს დაამთავრებდა მაშინ, როცა პირველი ფაქტი მოხდა და პირველი ვიდეო გადაიღეს მათ ფულით და შეკვეთით, ორგანიზებული კრიმინალისაგან მიღებული ფულით როგორც ახლა ირკვევა. გამოეგდოთ, თუნდაც თავის რომელიმე ტელევიზორში... პირველივე დღეს დაისჯებოდა და პირველივე დღეს დამთავრდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, აგრძელებდნენ, უკვეთავდნენ და ინახავდნენ არჩევნების პერიოდისთვის, რომ საქართველოს ხალხს არჩევნების წინ ეფიქრა არა იმაზე, რომ საყოველთაო ჯანდაცვა უნდა ჰქონდეს ჩვენ ხალხს, არა იმაზე, რომ უმუშევრობა უნდა დავძლიოთ, არა იმაზე, რომ ჩვენს შვილებს ჰქონდეთ მომავალი, არა იმაზე, რომ კანონიერი ქურდები და კრიმინალი არასოდეს დაბრუნდეს, არა თუნდაც იმაზე, რა შეიცვალა საქართველოში უკეთესობისკენ, არამედ შოკის ქვეშ გააკეთებინონ იმპულსური გადაწყვეტილება და საბოლოოდ ხელი გაუხსნან იმათ, ვისაც საბოლოოდ უნდა საქართველოს წარსულში დაბრუნება. აი, ეს არის დღეს რაც ხდება, – განაცხადა სააკაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ნინიძე

# მამუკა გიორგაძე: „ეკლესიაზე ზეწოლას ვერავინ გაბედავს!“

**ინტერვიუ სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან**

***– საპატრიარქოში მიიჭრნენ საზოგადოებისთვის სახიფათო სუბიექტები დათა ახალაია და სოსო თოფურიძე. რატომ არ გახმაურდა ამ ვიზიტის დეტალები?***

– მისმა უწმინდესობამ, როგორც მას სჩვევია და რაც არის საქართველოს დედაეკლესიის ბუნებრივი ფუნქცია, დადგა თავისი მრევლის გვერდით. პატრიარქი და მღვდელმსახურები არაერთხელ სვამდნენ საკითხს პატიმართა მძიმე მდგომარეობის შესახებ, არაერთი ეპისკოპოსი, არაერთი მოძღვარი, თვითონ მისი უწმინდესობა ძალიან ხშირად ქადაგებებში საზოგადოების წინაშე ამახვილებდნენ ყურადღებას ამ პრობლემაზე. სამწუხაროდ, თავის დროზე ქართველმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა სპექტრმა ყურად არ ილო ეს გაფრთხილებები და დღეს მივედით იმ ნიშნულამდე, რომ ეჭვის ქვეშ დადგა მთლიანად ქართველი საზოგადოების სიჯანსაღე. თუ საზოგადოება ამას იტანს, ის ვერც სახელმწიფოს წარუძლვება წინ. სახელმწიფოებრიობაზეც აღარ არის საუბარი, საუბარი თითოეულ ჩვენგანზეა. მისმა უწმინდესობამ გაამახვილა ყურადღება არა ხელისუფლების მოქმედებებზე, მის მიერ ჩატარებულ გამოძიებაზე, არამედ საზოგადოების მიერ გადასადგმელ ნაბიჯებზე. რაც მოხდა, ეს საზოგადოების სირცხვილია, ხელისუფლებაზე აღარც არის საუბარი. იმაზე აღარ უნდა იყოს საუბარი, რომ ხელისუფლება არსებობს და მას ადამიანური სახე აქვს, რომელიმე სტრუქტურა ჯანსაღია, რადგან ეს მოხდა, მთელი ხელისუფლების სიდამპლის გამოხატულებაა. ახლა დგას საკითხი, საზოგადოებას ჩვენი თავის გადარჩენა თუ შეგვიძლია. დღეს მარტო პატიმრებს კი არ ვიცავთ, სამართლიანობის აღდგენას კი არ ვიცავთ, საკუთარ ტყავს ვიცავთ, რომლებიც ვმონაწილეობთ იმ პროცესში, რომელიც თბილისშია. მისმა უწმინდესობამ სწორი მიმართულება მისცა ყველაფერს, რომ უნდა გადავარჩინოთ ჩვენი სახე. როცა ერთმანეთს შევხვდებით ქუჩაში, თვალებში ჩახედვა შეგვეძლოს. საერთაშორისო თანამეგობრობაში ჩამოვირეცხოთ ის ლაქა, რომელიც მოგვეცხო. გადარჩენილმა საზოგადოებამ პასუხი უნდა მოსთხოვოს ამ უკვე დამპალ რეჟიმს.

***– ეს ვიზიტი საპატრიარქოში, თქვენი აზრით, დაშინების მცდელობა იყო თუ ის ვერსია, რომ თითქოს პენიტენციური სისტემის რეფორმის დაწყების შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ მის უწმინდესობას?***

– უნდა ითქვას, როცა საზოგადოება და ეკლესია ერთად არიან, ვერავინ გაბედავს ეკლესიაზე ზეწოლას. როდესაც ათიათასობით მოტივირებული ადამიანია ქუჩაში გამოსული, გიჟი უნდა იყო, რომ გაბედო ზეწოლა ეკლესიაზე. ალბათ, უფრო იმის სურვილი იყო, დაემშვიდებინათ მისი უწმინდესობა, რომ მთლად ცუდად არ არის საქმე. როგორც ჩემთვის ცნობილია, დიდი ხნის საუბარი არ ყოფილა. აქაც მისმა უწმინდესობამ ისეთი პოზიცია დაიკავა, როგორც ეკადრება ეკლესიას, თუნდაც ის ფაქტი, რომ მისმა უწმინდესობამ გადადო ფოთის ტაძრის კურთხევის ცერემონიალი, ეს არის პირდაპირი პასუხი ხელისუფლების ქმედებებზე. ამ ცერემონიალს ველოდით ლამის სამოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მას შემდეგ რაც ის ტაძარი დაიხურა და საზოგადოება დიდი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას ფოთის აღდგენილი ტაძრის მსახურებაში. დღევანდელ დღეს საზეიმო აღნიშვნა ასეთი ღონისძიებისაც კი შეუძლებელია. როგორ შეიძლება, გვერქვას ქრისტიანები, როდესაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული მოვალეობა, პატიმართა მიხედვა, ასეთ დონეზეა საქართველოში. პატრიარქს არ სურს, იხილოს ხელისუფლების წარმომადგენლები მის გვერდით, ხოლო ქართველი საზოგადოება რამდენად ღირსი იქნება პატრიარქის წირვაზე დასწრებისა და მის გვერდით დგომისა, ეს ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ჩვენი მოქმედებებით და იმ ცოდვის გამოსყიდვით, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გვაქვს. საქმე ისე მიდის, თითქოს მხოლოდ ათი ან თხუთმეტი კაცია ამაში დამნაშავე. ყველამ ჩვენი წილი ცოდვა უნდა ვზიდოთ ამ საქმეში, მით უმეტეს იმ ხალხმა, რომლებმაც იცოდნენ, რაც ხდებოდა, რომელიც ამ ფაქტებს არ ახმაურებდა რაღაც კონიუნქტურული მოსაზრებით, ყველამ უნდა აიღოს მორალური პასუხისმგებლობა თავის თავზე.

***– ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა ინფორმაცია. დაზუსტებით ვერ ვიტყვით, შეესაბამება თუ არა სიმართლეს. ამ ინფორმაციის მიხედვით, როდესაც საქართველოში მაკკეინი იყო ჩამოსული, მას ჰქონდა შეხვედრა ბოკერიასთან და სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან, ეკლესიის ზეგავლენა საზოგადოებაზე მაღალია და მოითხოვა ეკლესიის განეიტრალება. იყო ორპუნქტიანი გეგმა, ეკლესიის ეპარქიებად დაყოფა, წმინდა სინოდში განხეთქილების შეტანა და მეორე პირადად პატრიარქის განეიტრალება. ამაზე როგორია თქვენი კომენტარი?***

– ძალიან არასერიოზულია ასეთი მსჯელობები, ასეთ საკითხებზე მაკკეინი ნამდვილად არ ისაუბრებს, გულშიც რომ ჰქონდეს მსგავსი რამ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს გულშიც რომ ჰქონდეთ ეს, გამორიცხულია ამაზე საუბარი. პირველწყარო რუსული სპეცსამსახურები უნდა იყოს. დასავლეთი ამ მიმართულებით ნამდვილად არ მუშაობს. ხელისუფლება, რომელიც ვითომ დასავლური ღირებულებების ლოზუნგით გამოდის, ანტიდასავლურ ქმედებებს ახორციელებს. დასავლეთი არ ითხოვს ჩვენგან, რომ ყველა აღმსარებლობას ჰქონდეს ერთნაირი უფლებები და სტატუსი სახელმწიფოში. ევროპა არ ითხოვს ჩვენგან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს ამის ტირაჟირებას, თითქოს ამას ევროპა ითხოვს. არ მონაწილეობს ეკლესია პოლიტიკურ ცხოვრებაში, არც ერთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში არ მიუღია მონაწილეობა. ეკლესია აკეთებს იმას, რომ რაც შეიძლება გაემიჯნოს ხელისუფლებისთვის ბრძოლას. ქვეყნის ბედს, ცხოვრების წესის განსაზღვრას რაც შეეხება, ბუნებრივია, ამაში ეკლესიის სიტყვა განუზომელია. სულიერების სწორად განვითარების საშუალებას ეკლესია იძლევა. ეკლესიის როლის დაკნინებას ცდილობს ეს ანტიადამიანური და ანტიეროვნული ხელისუფლება და ამას უნდა გასცეს პასუხი საზოგადოებამ. ფილარმონიასთან აქციაზე მეუფე იაკობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ და მე ამით ბედნიერი ვიყავი, ყოველგვარი პოლიტიკური ანგაჟირების გარეშე არც ერთ მათგანს არანაირი განცხადება არ გაუკეთებია, როგორც სულიერ მოძღვრებს შეეფერება, იდგნენ მრევლის გვერდით ბოლომდე. ეს არის ჩვენი ეკლესიის დედაბუნება. მათი იქ ყოფნა ამშვიდებდა და ასხივოსნებდა იქ შეკრებილ გარემოს. ეს არის ეკლესიის მთავარი ფუნქცია. ამ ფუნქციისთვის ხელის შეშლა უნდა დღეს ხელისუფლებას.



***– გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით შემსრულებლები დააკავეს და არა იმ არაადამიანური ბრძანების გამცემები, მაგალითად, დათა ახალაია, ვასილ სანოძე და მერაბიშვილის ცოლი სალაყაია. ახლა განტევების ვაცად მხოლოდ კალმახელიძის წარმოჩენა ხომ არ უნდა ხელისუფლებას და ხომ არ უწყობს ხელს იმას, რომ ისევ დააფაროს ხელი ბაჩო ახალაიას, როგორიც ამ წამების დამნერგავს ციხეებში?***

– წამება ციხეებში დანერგეს ბოლშევიკებმა და კომუნისტური მმართველობის დროს მრავლად იყო გაუპატიურების ფაქტები. ჩვენ რომ ამ მიმართულების პოლიტიკური შეფასება არ განვახორციელეთ, რომ არ დავგმეთ ბოლშევიზმი როგორც მოვლენა, ამან განაპირობა ის, რომ დღეს ხელისუფლებაში კვლავ ბოლშევიკები არიან. დღეს ფსევდოლიბერალიზმსა და ღია საზოგადოების იდეებს ქადაგებენ, მაგრამ ცხოვრების წესით ეს ხალხი ბოლშევიკები არიან. ჩვენ პასუხი უნდა ვაგებინოთ როგორც უშუალო შემსრულებლებს, ისე დამკვეთებსაც. მე არ ვარ ვინმეს დასჯის მომხრე, მაგრამ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ ალმოვფხვრათ ეს ქმედებები, პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ კონკრეტულ პირებს. ამ სისტემის შემქმნელებზეც უნდა იყოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა. სააკაშვილით დაწყებული, ახალაიები, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ზოდელავა, კალმახელიძე – ყველამ უნდა აგოს პასუხი, იმიტომ კი არა, რომ რევანშისტები ვართ, ბოლშევიზმი საქართველოში უნდა დამთავრდეს. ადამიანთმოძულე ხელისუფლების არსებობა საქართველოში უნდა დამთავრდეს. ამისთვის საჭიროა, მოსამართლემ დაჰკრას ჩაქუჩს და თქვას, რომ დამნაშავეა. სხვამ ველარ უნდა გაბედოს. ნიურნბერგის პროცესის შემდეგ გერმანიაში ფაშიზმის ხსენება იწვევს ადამიანის შიგნით ემოციების აშლასა და სირცხვილის გრძნობის წამოწევას. ასევე უნდა შეგვრცხვეს ჩვენ იმის გამო, რომ ასეთი ხელისუფლება გვყავდა. ამის გამო თუ არ შეგვრცხვება, ჩვენი სახელმწიფო ვერ შედგება. ერმა თავის თავს უნდა გამოუტანოს განაჩენი და ამ შემთხვევაში ეს განაჩენი იქნება იმ კონკრეტული პირების დასჯა, რომლებიც არიან ამ საქმეში მონაწილენი. პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ამ ხელისუფლებას დღესვე, მათი არაადამიანური სახე მიუღებელია.

***– როცა მერაბიშვილი ინიშნებოდა პრემიერ-მინისტრად, მაშინ გამოჟონა ინფორმაციამ, რომ მერაბიშვილი ვერ აიტანდა ბაჩო ახალაიას შს მინისტრად. საზოგადოებამ იცოდა, რომ ამ დანიშვნით ბაჩო ახალაია პირდაპირ ექვემდებარებოდა სააკაშვილს. ახლა გაჩნდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლების შიგნით არის დაპირისპირება და ეს კადრები მერაბიშვილის მიერ არის გავრცელებული. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?***

– შესაძლებელია იმიტომ, რომ ყველას კარგად გვახსოვს კადრი ფილმიდან და რომანიდან „დათა თუთაშხია“. არ უნდა გვაინტერესებდეს, ვირთხები როგორ ჭამენ ერთმანეთს. ყველა ვირთხას უნდა გაუჩეჩქვო თავი. ვილაცის პოზიციას არ უნდა მივემხროთ სხვის ჩასაძირად. ამან დაგვღუპა. სააკაშვილმა იმიტომ შეძლო ასეთი სისტემის შექმნა, რომ კლანთა შორის ბალანსზე იყო დაფუძნებული მისი ძალაუფლება. ჩვენ დაგვღუპა, რომელიღაც მინისტრების ოპოზიციაში გადასვლის საკითხს რომ მივესალმებოდით. ოქრუაშვილის თემის ანგაჟირებამ დაგვღუპა, ყველა ვირთხას უნდა გაეჭეჭყოს თავი. კლანებს შორის ბრძოლის თემაა ბიჭების გაუპატიურება? ეს კიდევ უფრო ამაზრზენია, როცა ეს თემა კლანებს შორის განსახილველია. გირგვლიანის თემის გაპიარება სწორედ კლანებს შორის ბრძოლის გამო მოხდა. მერე ის კლანები ერთმანეთში შეთანხმდნენ და ქართველი ერი დარჩა მოტყუებული. დაღუპული აღმოჩნდა ერთი ღირსეული ქართველი ვაჟკაცი და შეურაცხყოფილი ქართველი საზოგადოება. კლანებს შორის ბრძოლა უნდა დამთავრდეს. ნაძირალა პასუხისმგებლობაში უნდა მოექცეს.

***– ბიძინა ივანიშვილმა დუშეთში აქციაზე ხალხს მოუწოდა სიმშვიდისა და ემოციების დაოკებისკენ. ოპოზიცია ალაპარაკდა იმაზე, რომ ხელისუფლებამ შეიძლება პროვოკაციები მოაწყოს, დაარბიოს სტუდენტების აქციები, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და ჩაშალოს საპარლამენტო არჩევნები. თქვენი აზრი მაინტერესებს ხელისუფლების ამ სცენარის შესახებ.***

– ჩვენთან ისეა მიღებული, რომ სიმშვიდე და უმოქმედობა ერთმანეთის ტოლფასია. ეს ასე არ არის. მივესალმები ივანიშვილის განცხადებას, სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ და საქმე ისე უნდა ვაკეთოთ. ეგზალტაციით საქმე არ კეთდება. ჩვენ აღგზნებულ მდგომარეობაში კი არ უნდა გავიდეთ ქუჩაში, არამედ უნდა გავიდეთ მშვიდ მდგომარეობაში იმ პასუხისმგებლობით აღჭურვილნი, რომ საჭიროა სახელმწიფოებრივი საქმის კეთება. მივესალმები მშვიდ ვითარებაში სწორ პოლიტიკურ ბრძოლას. მჯერა, ბიძინა ივანიშვილს იმ კონტექსტით არ უთქვამს, რომ სიმშვიდე უმოქმედობას ნიშნავს. ერთ-ერთ ფსალმუნში სიმშვიდის დატვირთვა გვახსოვს: „მოიხსენე უფალო დავით და ყოველგვარი სიმშვიდე მისი“.

***– ხელისუფლებამ პენიტენციური რეფორმის შესახებ საუბარი დაიწყო. ეს ცინიკურად შეფასდა. როგორ განახორციელებს ბოკერიას ნათესავი ტულუში რეფორმას, ეს ერთი საკითხია, მაგრამ ის პირები, რომლებიც პენიტენციურ სისტემაში აპირებენ მუშაობის დაწყებას, მინისტრით დაწყებული, დარაჯით დამთავრებული უნდა გადიოდნენ ფსიქიატრიულ შემოწმებას. ეთანხმებით ამ მოსაზრება?***

– გეთანხმებით, ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ამ სისტემაში მომუშავე ადამიანს უნდა ჰქონდეს მდგრადი გაწონასწორებული ფსიქიკა. უტიფარ ცინიზმამდე დადის ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები, ისინი თურმე არიან აღშფოთებულები, შოკირებულები, მოითხოვენ ვითარების კარდინალურ ცვლილებას. ეს უტიფარი ცინიზმი კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ჩვენი თავის მიმართ მოთხოვნებს. რისი რეფორმირება უნდა მოხდეს? დამპალი სისტემის რეფორმირება შეუძლებელია, ეს დამპალი სისტემა უნდა დაემხოს. უნდა გაიწმინდოს, უნდა მოსწორდეს მისი ფუნდამენტი, მყარ საფუძველზე ახალი შენობის მშენებლობა უნდა დაიწყოს. ჩვენ დაგვღუპა იმ სურვილებმა რომ განვახორციელოთ რეფორმა, არ შეიძლებოდა ბოლშევიკური რეჟიმის რეფორმირება, ჩვენ სწორედ ეს დავიწყეთ. არ შეიძლებოდა შევარდნაძის რეჟიმის რეფორმირება, არ შეიძლება სააკაშვილის რეჟიმის რეფორმირება, ეს სისტემა მთლიანად უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, მოსუფთავდეს ზედაპირი, იკურთხოს ადგილი და შემდეგ მყარ ფუნდამენტზე დავიწყოთ ახალი სახელმწიფოსა და ახალი ჯანსაღი სისტემის მშენებლობა. სხვა შემთხვევაში მივიღებთ იმავე შედეგს, რომელიც დღეს გვაქვს. როგორ შეიძლება, ეს ერთი დაწესებულების პრობლემად წარმოვაჩინოთ, როგორ, პროკურატურა არ იყო ამაში ჩართული? პროკურატურაც ისეთივე დამპალი სისტემა არ არის, პოლიცია იგივე დამპალი სისტემა არ აღმოჩნდა? სასამართლო სისტემის გარეშე შესაძლებელი იყო, რომ ეს მომხდარიყო? საზოგადოების ამორფულობის გარეშე შესაძლებელი იყო, ეს მომხდარიყო? პოლიტიკური პარტიების არასწორი მუშაობის გარეშე შესაძლებელი იყო, ეს მომხდარიყო? არა, ბატონო, ამან გამოავლინა მთელი ჯაჭვი დანაშაულთა, ამიტომ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მიდგომა. ხელისუფლებას სურს, ისე წარმოაჩინოს, რომ ერთ ნაწილშია პრობლემა. ეს არის კიბო, მოდებული თავისი მეტასტაზებით. კიბოს ეპიცენტრი არის ხელისუფლება, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი. ეს სისტემა არ ექვემდებარება რეფორმირებას. დამპალი შენობა არ ექვემდებარება აღდგენას. დღეს საზოგადოება ამისთვის მზად არის. ასე მომზადებული არასოდეს ყოფილა. პოლიტიკური ძალების სწორი მოქმედებით დავიწყოთ ეს ქმედებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციხის ჯალათები ამერიკაში არ შეუშვათ

**ნათია ხურცილავა**

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ და სთხოვენ, რომ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობაში ეჭვმიტანილ პირებს აეკრძალოთ ცივილიზებულ ქვეყნებში შესვლა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა განაცხადეს.

— მოგმართავთ წინადადებით, რომ გამოიყენოთ თქვენს ქვეყნებში არსებული პრაქტიკა (მაგ. ე.წ. მაგნიტსკის საქმე) და როგორც მინიმუმ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრებს, აგრეთვე იუსტიციის მინისტრსა და მთავარ პროკურორს, როგორც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობაში ეჭვმიტანილ პირებს, აეკრძალოთ თქვენს ქვეყნებში შესვლა მანამ, სანამ სრულფასოვნად და ობიექტურად არ იქნება გამოძიებული პენიტენციურ სისტემაში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულები, – ნათქვამია მიმართვაში, რომელიც ჟურნალისტებს კოალიცია „სამართლიანი არჩევნებისთვის" წარმომადგენელმა ირაკლი მელაშვილმა გააცნო.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების განცხადებით, ადამიანების მიმართ სასტიკ მოპყრობაში ეჭვმიტანილი პირების მხოლოდ თანამდებობრივი პასუხისმგებლობის დაყენება საკმარისი არ არის.

– შექმნილ ვითარებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ხელისუფლებას, რომლის ქმედებებიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გამოძიება ეცდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრონ კონკრეტულად მხოლოდ ამ ვიდეომასალებში დაფიქსირებულ დანაშაულის უშუალო შემსრულებლებს. ქვეყნის ლიდერების საქმეც მიგვაჩნია, რომ არა მხოლოდ თანამდებობის დატოვებით, არამედ კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს ყველა პირი, განურჩევლად მათი რანგისა, ვინც ხელი შეუწყო პატიმართა მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის სისტემის ჩამოყალიბებას, – განაცხადა მელაშვილმა.

ამასთან, გაზეთ „რეზონანსის" მთავარი რედაქტორის ლაშა ტუღუშის შეფასებით, შექმნილ ვითარებაში „კოსმეტიკურ ცვლილებებს" აჯობებდა, მთავრობა სრული შემადგენლობით გადამდგარიყო. მისივე თქმით, არ შეიძლება, ადამიანმა მსგავსი დანაშაული ჩაიდინოს და შემდეგ დარჩენილი ცხოვრება უზრუნველად გაატაროს.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიმართვის ტექსტი გაუგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს ქეთრინ ეშტონს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ფილიპ დიმიტროვს.

მიმართვის ტექსტს ამ დროისთვის ხელს აწერს სამოქალაქო სექტორის 53 წარმომადგენელი.

**ირაკლი მელაშვილი:**

– სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები წლების განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლებს ვაფრთხილებდით, თუ რა ხდებოდა პენიტენციურ სისტემაში, ციხეებში. არანაირი ღონისძიებები არ იქნა გატარებული. დღეს სასწრაფოდ მიიღეს გარკვეული ზომები, გარკვეული თანამდებობის პირები გადადგნენ თანამდებობიდან. თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი, თანამდებობის დატოვება არ არის სასჯელი. ეს არ არის ფორმა, რითაც უნდა დაისაჯონ ადამიანები დანაშაულის ჩადენისთვის, რომლებიც მხილებული არიან სასტიკ მოპყრობაში, ადამიანების წამებაში. თანამდებობის პირებმა წლების განმავლობაში არაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ რეაგირება მოეხდინათ ამ უამრავ მასალაზე, რომელსაც აწვდიდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველი, საერთაშორისო ორგანიზაციები. ჩვენ ვავრცელებთ მიმართვას, რომლის ადრესატიც არის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და ევროკავშირის ხელმძღვანელობა. ჩვენ გვინდა ვუთხრათ მათ, რომ მსოფლიოში არსებობს პრაქტიკა, ვინც მხილებულია ადამიანის უფლებების დარღვევაში, ადამიანების წამებაში, არაადამიანურ მოპყრობაში, ასეთ ადამიანებს ცივილიზებულ ქვეყნებში შესვლა ეკრძალებათ. ბოლო ასეთი საქმე „მაგნიტსკის საქმე" იყო, როდესაც სპეციალური სია გაკეთდა. ასეთი პრეცედენტი არსებობს და ამიტომ მივმართავთ ამერიკასა და ევროკავშირს, რომ იმსჯელონ ამ საკითხზე. ეს დოკუმენტი გადაეცემა ქალბატონ ეშტონს, ბატონ ფულეს იმისთვის, რომ რეაგირება იყოს არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ საქმიანი. თანამდებობიდან გადადგომა არ არის ადამიანურობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური სასჯელი. ადამიანებმა ამაზე სისხლის სამართლის წესით უნდა აგონ პასუხი.

**ლაშა ტუღუში, გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორი:**

– ამ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა მთლიანად მთავრობის გადადგომა. პატარ-პატარა კოსმეტიკური ცვლილებები მოხდა. სისტემის საქმიანობა ძალიან ნათელია. ეს იყო პოლიტიკური კურსი, შეხედულებები, თუ როგორ უნდა დაემართებინათ მათ დამნაშავეები. ასეთი პატარა გადაადგილებები არსებითად მდგომარეობას არ ცვლის. ეს არ არის ადეკვატური. არ შეიძლება, ასეთი ადამიანები კარგად იყვნენ, სახლებს ყიდულობდნენ, აგარაკებს ყიდულობდნენ, კარგად იცხოვრონ. ძირითადი მორალი – ეს არის „მაგნიტსკის საქმე". არ შეიძლება, ასეთი სისასტიკეები ავიტანოთ, მერე თითქოს არაფერი იყოს და შემდეგ კარგად და დაცულად იგრძნო დემოკრატიულ ქვეყნებში თავი. ამიტომ პრინციპულად მიუღებელია, სანამ არ დასრულდება ობიექტური გამოძიება ამ საქმეზე და არ გავარკვევთ ბოლომდე, ვინ იყო ორგანიზატორი ამ არაადამიანური საქციელის, მათი მშვიდად წასვლა. ამ ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ.

**ზაზა ხუციშვილი, მომღერალი, ჟურნალისტი:**

– იუთუბზე ვიდეო ვნახე, მინისტრები როგორ დასცინიან ცაგარეიშვილს. ცაგარეიშვილი პრობლემებზე საუბრობს, მინისტრები კი იცინიან. ნახეთ ერთი, როგორ სხედან. ამ მმართველმა გუნდმა შექმნა ისეთი გაგება, თითქოს არჩევნების გაყალბება არის ბავშვური ცელქობა. ამ დროს ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაული, რაც შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს. კიდევ ერთი დიდი ტყუილი გაავრცელა ხელისუფლებამ, რომ თითქოს მასწავლებლებს ემუქრებათ ძალა, რომელიც მოდის. ასეთი რამ მე არ მსმენია. საუბარი იყო გამყალბებლებზე. ადამიანი, რომელიც არჩევნებს გააყალბებს, გნებავთ, მასწავლებელი იყოს, ექიმი თუ მეჩონგურე, ვინც არ უნდა იყოს, უნდა დაისაჯოს.

# სტუდენტები: 30.000 ადამიანის გამოყვანა შეგვიძლია!

**ნათია ხურცილავა**

სტუდენტური აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორის ლევან ჩიტაძის განცხადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ.



როგორც ლევან ჩიტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პატრიარქს სტუდენტებისთვის დაშლისკენ არ მოუწოდებია.

– პატრიარქი ახალგაზრდებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს და უთხრა, რომ თუ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მაშინ საპროტესტო აქციების გაგრძელება აღარ არის საჭირო. სტუდენტების მოთხოვნა კი მარტო ბაჩო ახალაიას გადადგომა არ იყო. ისინი მოითხოვდნენ მის დასჯას. ამასთან, თვითმმართველობის წარმომადგენლები სტუდენტებში ავრცელებენ ინფორმაციას, რომ პატრიარქმა დაშლისკენ მოუწოდა. სამწუხაროდ, სტუდენტებმა შეწყვიტეს აქცია, მაგრამ კარგი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ შეიკრიბება საკოორდინაციო საბჭო, – განაცხადა ლევან ჩიტაძემ.

მისივე თქმით, საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც სამომავლო აქციებს უნდა გაუწიოს კოორდინაცია, მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ გაგრძელდება აქციები.

„ლაბორატორია 1918"-ის წევრები საპროტესტო აქციებს ორშაბათიდან, 24 სექტემბრიდან განაახლებენ. როგორც „ლაბორატორია 1918"-ის წარმომადგენელმა სანდრო ცაგარელმა ჟურნალისტებს განუცხადა, უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქციების უკეთ ორგანიზებას შეუწყობს ხელს.

– ჩვენმა ბრძოლამ გამოიღო უკვე ერთი დიდი შედეგი, გადადგა თანამდებობიდან ბაჩო ახალაია. ჩვენ ვაგრძელებთ საპროტესტო აქციებს, მაგრამ ვაგრძელებთ ორშაბათიდან. ჩვენ დავინახეთ, რომ დაახლოებით 30.000 ადამიანის გამოყვანა შეგვიძლია და ამას სჭირდება უფრო მეტი ორგანიზება, უფრო მეტად ჩამოყალიბება, რათა გამორიცხული იყოს ყველანაირი პროვოკაცია და ის, რომ რომელიმე სტუდენტს რამე არ დაუშავდეს. რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტის თავისუფალი ნებაა, გამოხატოს პროტესტი, ვისაც უნდა, მივიდეს ფილარმონიასთან ან გლდანის ციხესთან, მაგრამ ჩვენ აქციას გავაგრძელებთ ორშაბათს 15:00 საათიდან, – განაცხადა სანდრო ცაგარელმა.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები ორშაბათამდე ტაიმ აუტს იღებენ, სტუდენტთა მეორე ნაწილმა გადაწყვიტა, გლდანის ციხისკენ დაძრულიყო და ადგილზე გამოეხატა პატიმრებისთვის მხარდაჭერა.

ახმეტელის თეატრიდან გლდანის ციხის მიმართულებით სტუდენტებმა საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს. აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ ლოზუნგები – „არ აწამო", „სიცოცხლე საფრთხეშია", „ეს არ არის ცოცხების რევოლუცია". აქციაზე ასევე გაისმა მოწოდება: „გამოდით". მსვლელობის მონაწილეები ადგილობრივ მოსახლეობას სოლიდარობისკენ მოუწოდებდნენ. გლდანის მცხოვრებლები მსვლელობას საკუთარი სახლის აივნებიდან აკვირდებოდნენ და ტაშით ესალმებოდნენ.

გლდანის ციხემდე მისვლამდე ისინი რამდენიმე წუთით წმინდა გიორგის ეკლესიაში შეჩერდნენ და დღესასწაულთან დაკავშირებით სანთლები დაანთეს.

გლდანის ციხესთან სტუდენტების საპროტესტო აქციას პატიმრები შეძახილებით გამოეხმაურნენ. ისინი სკანდირებდნენ – „გაუმარჯოს საქართველოს". სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ბრახუნის ხმები ისმოდა, ასევე მსჯავრდებულებს საკნის ფანჯრებიდან გადმოფენილი ჰქონდათ ნაჭრები, ცხვირსახოცები და, სავარაუდოდ, მაისურები.

აქციის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს ბაჩო ახალაიას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, აქვთ ინფორმაცია, რომ პატიმრებს ისევ გაუსაძლის პირობებში უწევთ ყოფნა.

**სანდრო ლორთქიფანიძე, სტუდენტი:**

– ყველამ მინდა გაიგოს, რომ ჩვენი აქცია ჩვენ მიერ არის ორგანიზებული სრულიად სპონტანურად. ჩვენ, სტუდენტები, ვართ ის ძალა, რომლის გულწრფელი აღშფოთება არავინ არ უნდა გამოიყენოს სათავისოდ, არც არავის მივცემთ ამის უფლებას. ჩვენ მივაღწიეთ ორი მინისტრის გადაყენებას, მაგრამ ჩვენ იმდენად შემზარავ და შემაძრწუნებელ ფაქტებთან გვაქვს საქმე, რომ ეს არ არის საკმარისი. არც ერთ ქვეყანაში ეს არ იქნებოდა საკმარისი, პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ არის საკმარისი და ჩვენი მოთხოვნა კვლავ ძალაშია. ჩვენ ვითხოვთ სერიოზული გამოძიების ჩატარებას, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებიც ხალხის საყოველთაო ნდობით სარგებლობენ. სწორედ ამ ჯგუფმა უნდა გამოიძიოს აღნიშნული საქმე და უნდა მოხდეს ყველა დამნაშავის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. არ შეიძლება, ადამიანების წამების, არაადამიანური მოპყრობისთვის უბრალოდ სახლში წახვიდე და მშვიდად დაიძინო. ეს წარმოუდგენელია. ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ მთელი ქვეყანა საპროტესტო ტალღამ მოიცვა და ასე ველარ გაგრძელდება, მოსახდენი უნდა მოხდეს, ანუ დამნაშავეები ციხეში უნდა აღმოჩნდნენ, რათა პრეცედენტი შექმნას, რომ დამნაშავე დამნაშავეა, მინისტრი იქნება თუ ვინც არ უნდა იყოს.

# ურუშაძეს კარი აუჭედეს

**ნათია ხურცილავა**

„თავისუფალი საქართველოს" ლიდერებმა და აქტივისტებმა „ნაციონალური მოძრაობის" საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ანდრია ურუშაძის შტაბთან საპროტესტო აქცია გამართეს.

„თავისუფალი საქართველოს" აქტივისტებმა შეძახილებით მოუწოდეს მმართველი პარტიის დეპუტატობის კანდიდატს, რომ მას არავითარი შანსი არა აქვს, დეპუტატი გახდეს და ამიტომ ჯობია, კანდიდატურა მოხსნას.

პარტიის წარმომადგენლებმა ურუშაძეს კანდიდატურის მოხსნისკენ რამდენჯერმე მოუწოდეს. მათი თქმით, შეუძლებელია, „ნაციონალურ მოძრაობას" მორალური უფლება ჰქონდეს, რომ მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატები ჰყავდეთ.

„თავისუფალი საქართველო" მიიჩნევს, რომ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ფონზე „ნაციონალურ მოძრაობას" არა აქვს მორალური უფლება, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

„თავისუფალი საქართველოს" აქტივისტებმა სახელისუფლებო პარტიის შტაბის შენობაზე ციხეებში პატიმრების წამების ამსახველი პლაკატები გააკრეს.

– წარმოუდგენელია, მას შემდეგ, რაც მოხდა, რაც ეს ამაზრზენი და აღმაშფოთებელი კადრები მთელმა ქვეყანამ და საერთაშორისო საზოგადოებამ იხილა, ასე მშვიდად იყოს ნაციონალური მოძრაობა და მათი კანდიდატები. მათ არ აქვთ უფლება, საარჩევნო კამპანია გააგრძელონ და ხალხს დაჰპირდნენ ბროლის მთებსა და რძის მდინარეებს. რატომ არ ეუბნებიან ეს დღეები „მეტი სარგებელი ხალხს"? იმიტომ არ ეუბნებიან, რომ ხალხმა იცის, რა არის ის სარგებელი, რომელსაც ისინი ხალხისთვის იმეტებენ. ჩვენ ყველა მაჟორიტარულ ოლქში მოვუწოდებთ „ნაციონალურ მოძრაობას", კანდიდატები მოხსნან. კანდიდატურა უნდა მოხსნას ანდრია ურუშაძემ, რადგან მისი მინისტრობის დროს გაკეთებული საქმე კარგად ვნახეთ. ვნახეთ, რა ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სისტემა შექმნა მან. ის იყო მინისტრი და ვიცით, როგორია მის მიერ გაკეთებული საქმეები, ვნახეთ, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანებისთვის. ამ ადამიანებს უნდა რცხვენოდეთ. ჩვენ,



ხალხმა, უნდა შევაგნებინოთ მათ, რადგან ისინი დაბრმავებულები და დაყრუებულები არიან, მათი დრო დასრულდა, ახლა ხალხის დროა, ახლა სწორედ ხალხმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ასე გაგრძელება შეუძლებელია. ხალხი რომ მიიღებს გადაწყვეტილებას და ვერც ერთი ნაციონალი ვერ გახდება მაჟორიტარი მომავალ პარლამენტში, ვერც სიით გავლენ ისინი და საერთოდ პროცესების მიღმა აღმოჩნდებიან, ფაქტია, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

# გოჩა ტყეშელაშვილმა „იმედი" დატოვა

**ნათია ხურცილავა**

ეროვნულმა მედიაპროექტმა „ეტალონმა" ტელეკომპანია „იმედი" დატოვა.

არხის დატოვების მიზეზად პროექტის ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი არხის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას ასახელებს. როგორც „ეტალონის" წამყვანმა „ინტერპრესნიუსის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „იმედის" პოლიტიკა გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფისთვის სრულიად მიუღებელი იყო.

გოჩა ტყეშელაშვილი ასევე აცხადებს, რომ მის მიმართ მუქარები ხორციელდებოდა. „ეტალონის" წამყვანის თქმით, აგვისტოში მის სახლს ესროლეს კიდეც და ეს ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც გაიგეს, რომ მასთან სტუმრად ირაკლი ტრიპოლსკი იმყოფებოდა. გოჩა ტყეშელაშვილი მიიჩნევს, რომ „ინციდენტის უკან მიხეილ სააკაშვილი და მისი რეჟიმი იდგა, – ამბობს ტყეშელაშვილი.

პრესკონფერენციაზე გოჩა ტყეშელაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ის მხარს „ქართულ ოცნებას" უჭერს და სტუდენტებს გამძლეობისაკენ მოუწოდა. მაყურებელმა „ეტალონი" უახლოეს მომავალში შესაძლოა მე-9 არხზე იხილოს.

– ჩემი მეგობარია ირაკლი ტრიპოლსკი. როდესაც ეს გამოაშკარავდა, ასევე ჩემი განწყობა ცნობილი გახდა, ამ ადამიანების, „ქართული ოცნების" მიმართ წნეხი ჩემზე უფრო და უფრო გაძლიერდა. სხვადასხვანაირი მცდელობა იყო, რომ ხელ-ფეხი შეეკრათ ყველანაირად, ზეწოლა იყო, იყო რეკვები. ირაკლი ტრიპოლსკი სტუმრად იყო ჩემთან, როგორც მეგობარი. ამის შემდეგ ვნახე, რომ ჩემი საცხოვრებელი სახლის ფანჯარაზე არის ნასროლი. ხელთ მაქვს ფოტომასალა. ეს იყო ზეწოლის ბოლო მომენტი. ფანჯარას ტყუილად არავინ ესვრის. ვფიქრობდი, ეს ამბავი არ გამეხმაურებინა, რათა ხალხი არ გაგველიზიანებინა, – ამბობს გოჩა ტყეშელაშვილი. კითხვაზე, მიმართა თუ არა მან პოლიციას, პასუხობს, რომ არა და არც აპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერი დავითაშვილი: „არ მაინტერესებს მასობრივი სიმღერები“

ეკა ირემაშვილი

კომპოზიტორი მერი დავითაშვილი ყველა თაობის მსმენელში უდიდესი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობს. მისი ნაწარმოებები ერთნაირად საყვარელია როგორც უფროსი თაობის ადამიანებისთვის, ასევე პატარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორს შექმნილი აქვს 500-ზე მეტი ნაწარმოები და მათ შორის არის ოპერები, ბალეტი, კონცერტები, პოემები, სიმფონიური ნაწარმოებები, კამერულ ინსტრუმენტული ნაწარმოებები, კამერულ ვოკალური ნაწარმოებები, საგუნდო მუსიკა, მუსიკა სპექტაკლებისთვის და მუსიკა კინოსთვის, მერი დავითაშვილი მთელ საქართველოში მაინც მის მიერ შექმნილი საბავშვო მუსიკით არის ცნობილი.

მუსიკალურ სფეროში მოღვაწეობის განმავლობაში კომპოზიტორს შექმნილი აქვს 150-ზე მეტი საბავშვო სიმღერა მაყვალა მრევლიშვილის, გივი ჭიჭინაძის, ხუტა ბერულავას, იოსებ გრიშაშვილის ლექსებზე. კომპოზიტორის მუსიკით არის გაფორმებული 30 ნახატი და თოჯინური ფილმი „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“, „მტრობა“, „ნახევარწიწილა“. მერი დავითაშვილის მიერ ქართული კინოსთვის შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან კი ყველაზე პოპულარულია სიმღერა კინოფილმიდან „მანანა“, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია ბავშვების და მათი მშობლების საყვარელ სიმღერად რჩება.

კომპოზიტორის მოღვაწეობიდან მნიშვნელოვანია მისი საქმიანობა მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო ორგანიზაციაში. მონაწილეობდა კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუსეთში.

როგორც 90 წელს მიღწეული კომპოზიტორი ამბობს, მისთვის ამქვეყნად ყველაზე დიდი სიამოვნება მუშაობის პროცესია, ყველაზე დიდი ჯილდო კი – ხალხის სიყვარული, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 88 წლისაა, დღესაც აქტიურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას კონსერვატორიაში, კომპოზიციას ასწავლის ნიჭიერთა სკოლაში მომავალ კომპოზიტორებს და უკვე ოთხ ათეულზე მეტი წელია ატარებს კვირეულებს ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსების გამოსავლენად.

როგორც თავად ქალბატონი მერი აღნიშნავს, მისთვის სულაც არ არის გულდასაწყვეტი, რომ მის შემოქმედებას საბავშვო მუსიკით უფრო იცნობენ, ვიდრე კლასიკური ნაწარმოებებით. მისი თქმით, შინაურულად, თავისი შვილისთვის დაწერილი „ჩიტო, ჩიტო, ნაცარა“ და „ეს საწყალი კურდღელი“ სრულიად მოულოდნელად იქცა პოპულარულად და დღესაც ყველა პატარასთვის საყვარელი სიმღერებია.

მერი დავითაშვილი არ მალავს, რომ მისთვის სიმღერის შექმნისას მთავარი ტექსტია, განსაკუთრებულად ანა კალანდაძის პოეზია უყვარს და ყველაზე ხშირად სწორედ მის ლექსებზე წერს მუსიკას. კომპოზიტორი ხმამაღლა აცხადებს, რომ საესტრადო ჟანრში არასოდეს უმუშავია და არც არასოდეს იმუშავებს, რადგან მისთვის ეს სფერო ინტერესის საგანს არ წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში მერი დავითაშვილმა ორი ლოცვა დაწერა გუნდისთვის, რომლებშიც ქართველებისთვის ორი გამორჩეული პიროვნება – შოთა რუსთაველი და თამარ მეფე ღმერთს და ღვთისმშობელს სამშობლოს ერთიანობას და გამარჯვებას ავედრებენ. კიდევ რა სიახლეებია კომპოზიტორის შემოქმედებაში, ამ თემაზე ქალბატონი მერი დავითაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**მერი დავითაშვილი:**

– სულ ვმუშაობ, რაც თავი მახსოვს, რაღაცას ვქმნი. მიჩვეული ვარ მუშაობას, სისტემატურად ასე ვარ, ჩვევაში გადამივიდა და არ შემიძლია რაღაც არ გავაკეთო, თუმცა, რამდენად გამომდის, არ ვიცი, ეს უკვე ხალხის შესაფასებელია. ისე მქონდა მთელი ცხოვრება აწყობილი, რომ ყოველთვის გარკვეულ დროს ვმუშაობდი, განსაკუთრებით დილის საათებში და ასე შევქმენი ჩემი რეპერტუარი. სულ ვწერ და რა ვქნა? ვერ ვჩერდები. ბიძინა კვერნაძემ იცოდა თქმა, წერას ვყავარ ატანილიო. ასე ვარ მეც.

*– ბოლოს რაზე იმუშავეთ?*

– ბოლო დროს ორი ლოცვა დავწერე, თუმცა ეკლესიური არ არის, ორივე ლოცვა გუნდისთვის არის შექმნილი. ახალციხელი პოეტია დურმიშხან ბერიძე და მისი ლექსები ჩამივარდა ხელში, შეხვედრაზე ვიყავი და იქ გადმომცეს, გაოცებული დავრჩი, ისეთი კარგი ლექსები აქვს. საერთოდ ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექსტს, როცა რაღაცას ვაკეთებ. თუ ტექსტი არ მოვიდა ჩემამდე და რაღაც არ აღძრა ჩემში, ისე ვერაფერს დავწერ. მინდა ხოლმე, ხშირად რომ გავაკეთო, მაგრამ ვერ ვწერ ნაწარმოებს.

*– რაზეა ტექსტი?*

– შოთა რუსთაველი ლოცულობს და ღმერთს ეხვეწება, ღმერთო, გადამირჩინე საქართველოო. ისეთი კარგი ტექსტია, მაშინვე დავწერე ლოცვა გუნდისათვის და სოლისტისთვის.

*– ეს ნაწარმოები უკვე შესრულდა?*

– კი, შესრულდა რუსთაველის თეატრში, სადაც შეხვედრა მქონდა. ძალიან კარგი შეხვედრა იყო და მაშინ აჟღერდა. ძალიან დიდი წარმატებაც ჰქონდა და ბედნიერი ვარ. რადგან ასე მომეწონა ეს თემა, შემთხვევით წავაწყდი ანა კალანდაძის ლექსს, რომელმაც მეორე ლოცვა დამაწერინა. ანა კალანდაძე ჩემი უახლოესი მეგობარი იყო, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ვახლობლობდით. რამეს ახალს რომ დაწერდა, პირველად მე წამაკითხებდა ხოლმე ყოველთვის. ბევრი მუსიკა მაქვს დაწერილი ანას ტექსტებზე.



*– რას ნიშნავს თქვენთვის კარგი ტექსტი?*

– როგორც კი გადავხედავ, მაშინვე მელოდია მოდის და ვწერ. სხვა ლექსებზე ხშირად ვერ ვაკეთებ ვერაფერს. ანას აქვს ლოცვა, რომელიც თამარზე აქვს დაწერილი და იქ უკვე თამარი ლოცულობს. სიმბოლურად გამოვიდა – პირველ ლოცვაში შოთა რუსთაველი ლოცულობს, ხოლო მეორეში – თამარ მეფე. ეს ნაწარმოები ჯერ არ შესრულებულა, ახალი გაკეთებული მაქვს, მინდა, რომ მისი პრემიერა საკადრისად შედგეს. ჩვენთან ძალიან დიდი პრობლემაა ნაწარმოების შესრულება. ერთია, როცა კომპოზიტორი წერს, მაგრამ თუ ის ნაწარმოები ისე არ მივიდა მსმენელამდე, როგორც კომპოზიტორს უნდა, არაფერი გამოვა. კარგი შესრულება კი გართულებულია, როგორც ვხედავ, ზოგისთვის არ არის შესრულება გართულებული, მაგრამ ასეთ სერიოზულ ნაწარმოებს უფრო მეტი მუშაობა სჭირდება. ერთი სული მაქვს, როდის შევასრულებთ ამ ნაწარმოებს, თამარი ლოცულობს, ჯარი ბრძოლაში მიდის და ღმერთს მის გამარჯვებას ეხვეწება.

*– ბევრი საგუნდო, საფორტეპიანო ნაწარმოებები გაქვთ, თუმცა მერი დავითაშვილი პირველ რიგში საბავშვო კომპოზიტორად არის ცნობილი.*

– ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, რომელიც მსმენელმა მაშინვე აიტაცა და დღევანდლამდე სრულდება. პირველი საბავშვო სიმღერა ჩემი შვილისთვის გავაკეთე, შინაურულად, მერე ეს სიმღერები ძალიან პოპულარული გახდა. ისე, არა მარტო საბავშვო ნაწარმოებებს ვქმნი, არამედ საგუნდო, საფორტეპიანო ნაწარმოებებსაც ვწერ.

*– ხომ არ გწყინთ?*

– არა, ძალიან მიყვარს ბავშვები, საოცრად კარგები არიან, ალალები, სუფთები, პატარაობიდან მიყვარს ბავშვები და მათთან ურთიერთობა ყოველთვის მომწონდა. ისინი ახლაც ძალიან მიყვარს, რადგან ის ჩვენი მომავალია. ეს იცით რამხელა საჩუქარია, ბავშვებს რომ უყვართ შენი სიმღერები? ყველაზე დიდი. ქუჩაში რომ შემხვდებიან და მეტყვიან, ქალბატონო მერი, თქვენს სიმღერებზე გავიზარდეთო, ეს ჩემთვის უდიდესი ჯილდოა. ამაზე უკეთესი მართლა არაფერი შემეძლო გამეკეთებინა. ჩემს შემოქმედებაზე თაობები გაიზარდა და ამით ბედნიერი ვარ. ახლა მეცინება, მაგრამ როცა „ეს საწყალი კურდღელი“ დავწერე, არ მეგონა, თუ ასეთი პოპულარული გახდებოდა, ან თუნდაც „ჩიტო, ჩიტო ნაცარა“. უცხოელებიც კი მღერიან. სიმღერას „ეს საწყალი კურდღელი“ იტალიაშიც ასრულებენ. ის კი არადა, კორსიკელებმაც იმღერეს, აქ ჩამოვიდნენ, იმღერეს და გუნდისთვისაც დაამუშავეს. აქ რომ იმღერეს, ხალხმა სიცილი ატეხა, ხომ ესმოდათ, ტექსტი რაზე იყო, კორსიკელები კი ისეთი გაკვირვებულები იყვნენ, ვერ გაეგოთ, რატომ იცინოდნენ მაყურებლები. მერე აუხსნეს, რომ კურდღელზეა სიმღერაო და დამშვიდდნენ. ისეთი სასიამოვნო მომენტები მაქვს ასე მოსაგონარი, მთელი ცხოვრება არ მეყოფა. ამ მხრივ ბედმა გამიღიმა, როცა ადამიანი წერ და ამდენს მუშაობ, თუ არავინ შეასრულა და თაროზე შემოდე, რაღად გინდა ეს ნაწარმოებები, ჩემს შემთხვევაში კი ასეთი პრობლემა არ მქონია.

*– საესტრადო მიმართულებით არ მუშაობთ?*

– არასდროს მიმუშავია და არც ვიმუშავებ. არ მაინტერესებს მასობრივი სიმღერები. რას ვერჩი სხვებს, ბევრი კარგი სიმღერა არსებობს, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს ჟანრი უინტერესოა. ნანი ბრეგვაძე ახალგაზრდა რომ იყო, მეხვეწებოდა, დამიწერე სიმღერაო, მაგრამ ვერ დავუწერე, არ მეწერინებოდა და რა მექნა? საესტრადო ჟანრი ჩემთვის არის გასართობი მუსიკა, რაც არ მაინტერესებს. ჩემთვის მუსიკას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს და ისეთი არაჩვეულებრივი ფაქტორია აღზრდის საკითხში, რომ უპირველესია ბავშვებისთვის. ძველი ბერძნებიდან მოყოლებული შემორჩენილია, როგორ ასწავლიდნენ ბავშვებს და ცნობილია, რომ მუსიკა მათ სწავლებაში ყოველთვის იყო. შეიძლება არ ყოფილიყო ხატვა, ძერწვა ან ხელოვნების სხვა დარგი, მაგრამ მუსიკა იყო ყოველთვის. მუსიკა საოცარი ფენომენია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვინც მუსიკას მიჰყვება, ის ძალაუნებურად იხვეწება, გემოვნება, ადამიანობა უყალიბდება, უფრო ჰუმანურები არიან. მუსიკა არაჩვეულებრივად ზრდის ადამიანს. ესტრადა კი გასართობია და იშვიათად, რომ საესტრადო ჟანრიდან ისეთი უნიკალური მომღერალი გამოვიდეს, როგორიც თამრიკო გვერდწითელია. ის ჩემთან სწავლობდა საკომპოზიციოზე და მაშინვე მივხვდი, რომ არაჩვეულებრივი მომღერალი იქნებოდა და თვითონ მივიყვანე „მზიურში“. თამრიკო ფორტეპიანოზეც უკრავს, არაჩვეულებრივად მღერის, სიმღერებსაც წერს.

*– ბევრს უწყობდით ასე ხელს?*

– რა თქმა უნდა. თამრიკომ როგორც კი იმღერა, მივხვდი, რომ ეს ბავშვი დაბადებული იყო ესტრადისთვის. მახსოვს ასეთი ფაქტიც – დედამ მომიყვანა ძალიან კარგი ბიჭი, რამე მიშველე, თავს ანებებს მუსიკას და არ მინდა თავი დაანებოსო. დავიბარე ის ბიჭი, ძალიან მოვეფერე და გაჭრა. მოფერება ყველას უყვარს. პატარა დავალებაც მივეცი და ისე აიტაცა ჩემი სიტყვა, დამიჯერა და დღეს ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკოსია მსოფლიოში. მერე წავიდა უცხოეთში, ახლა ამერიკაშია პიანისტი, ბრწყინვალე ადამიანია. არადა, თავის დანებებას აპირებდა. სულ ახსოვს ეს შემთხვევა, უცხოეთიდანაც მირეკავს ხოლმე, მაგრამ როგორც კი ჩამოვა, მაშინვე დამირეკავს, მოვა, თუ კონცერტი აქვს, მოსაწვევს გამომიგზავნის. ეს მადლიერების ერთგვარი გამოხატვაა, თუმცა ყველა ასე არ არის.

*– თქვენ კომპოზიტორებსაც ზრდით. როგორი თაობა მოდის?*

– ნიჭიერ ბავშვთა სკოლაში ვმუშაობ და მომავალ კომპოზიტორებს ვზრდი. მათთან სიამოვნებით ვმუშაობ, ძალიან კარგი თაობა მოდის, ყოველთვის ასე იყო და ახლაც გრძელდება. ბავშვი სწორ გზაზე უნდა დააყენო, თუკი ესტრადაზე წავა, მერე იქიდან აღარაფერი გამოვა, ველარ შემოაბრუნებ. გამონაკლისები არის, მაგრამ მთავარია, ბავშვს სწორი მიმართულება მისცე. ყოველწლიურად ვაწყობ საბავშვო მუსიკის კვირეულებს, უკვე 40 წელზე მეტია ყოველწლიურად ვატარებთ ამ კონკურსს და საოცრად ნიჭიერ ბავშვებს ვპოულობთ. ჩემს ახალგაზრდობას რომ ვიხსენებ, მთავარია სწორი მიმართულება, გონების გახსნა და მერე თვითონ აკეთებენ ყველაფერს. ნიჭიერი ბავშვები გვყავს და მენანება, რომ აქ საკადრისი ყურადღება არ ექცევათ, დაფასება არ აქვთ, არადა, საზღვარგარეთ წავლენ თუ არა, ლაურეატები ჩამოდიან. პროპაგანდას კი უწევენ ისეთ ბავშვებს, რომელთაც თქვენ თვითონაც კარგად ხედავთ. რეალურად ნიჭიერი ბავშვები კი დაჩაგრულად მეჩვენებიან და მათი გამოყვანა მინდა ხოლმე ფართო საზოგადოების წინაშე. რაც შეეხება მუსიკას, შეიძლება მუსიკოსი არც გაზარდო, მაგრამ მუსიკა მას იმდენად წესიერ პიროვნებად აყალიბებს, რომ სხვა სპეციალობაშიც უკვე წარმატებული ადამიანი იქნება. ამაზე დაკვირვებებია ჩატარებული და სხვა დარგებშიც კარგები არიან, ისეთ ჩვევებს უვითარებს მუსიკა – დროის შეგრძნება იციან, კარგის და ცუდის გარჩევა, კარგი გემოვნება აქვთ.

*– კლასიკური მუსიკა არ არის მასობრივად პოპულარული, ახალ ნაწარმოებებს აჟღერებთ?*

– ძალიან ძნელად. საორკესტრო ნაწარმოებებიც ბევრი მაქვს, ჩემი ორი ოპერა „ქაჯანა“ და „ნაცარქექია“ იდგმებოდა თეატრში და მგონია, რომ ეს დროებითი ამბავია, მოვლენ აზრზე და მიხვდებიან, რომ ჭეშმარიტ მუსიკას უნდა უსმინონ. მეცოზე ნახეთ, როგორ უსმენს საზოგადოება კლასიკურ მუსიკას, როგორი ყურადღებით არიან. მჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩვენთან დროებითია და მუსიკა აუცილებლად ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ საჭიროა ამ ყველაფრის პროპაგანდა და პოპულარიზაცია. ძალიან კარგი კონცერტი რომ მოაწყო, კარგი ორკესტრი მოიწვიო, კარგი დირიჟორებიც გვყავს და დაიჯერეთ, ხალხი სიამოვნებით მოვა, თან ქართველებმა ადვილად იციან ატაცება და ჩვენც ასე უნდა გავაკეთოთ. ღია ცის ქვეშ რომ მოვაწყოთ კონცერტები, ძალიან ბევრი ხალხი ივლის, თუნდაც ჯვარზე რომ მოვაწყოთ ასეთი კონცერტი, წარმოგიდგენიათ, რამდენი ადამიანი მოვა? ამ ყველაფერში ტელევიზიაც სცოდავს. რასაც უკეთებენ პროპაგანდას, ხალხიც იმას იტაცებს. არ არსებობს ვერ გაიგოს ხალხმა კლასიკური ნაწარმოები, თან დღევანდელ დღეს როგორ მაღალ დონეზეა ჩვენი მუსიკა, მაგრამ ქართველებს ერთი მავნე ჩვევა გვაქვს – ჩვენიანის დაფასება არ ვიცით. ისეთი დიდი კომპოზიტორი, როგორიც გია ყანჩელია, ქართველებისთვის უდიდესი საჩუქარია, დიდი ხანია ასეთი გენიოსი არ გვყოლია. გავიდა საზღვრებს გარეთ და იქ არის, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი კომპოზიტორი. ჩვენთან კი გია ყანჩელის მხოლოდ საესტრადო ნაწარმოებები სრულდება, არადა, მარტო საესტრადო აქვს დაწერილი? კაცი ამდენ რაღაცას წერს, გადასარევი კომპოზიტორია, ასეთი გყავდეს და არ ასრულებდე, დანაშაული მგონია. მსმენელი კი დადის, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც საჭიროა. ახალგაზრდების სულიერი აღზრდისთვის კი ასეთი მუსიკა უმნიშვნელოვანესია.

*– ქალბატონო მერი, ბევრი გაქვთ შეუსრულებელი ნაწარმოებები?*

– ძალიან ბევრი მაქვს ნაწარმოებები, ძირითადი ნაწარმოებები ყოველთვის სრულდებოდა, წინათ უფრო მეტი ყურადღება იყო. სულ ახალგაზრდა ვიყავი და ორკესტრი მზად იყო შეესრულებინა ჩემი ნაწარმოები. ჩვენთან იცით რა არის რთული? ნაწარმოებები ჩაიწეროს და დარჩეს. ძალიან კარგი სტუდია გვქონდა „მელოდია“, რომელიც დაანგრიეს, ეს იყო უნიკალური დარბაზი, აკუსტიკურად გენიალური, იქ ორკესტრიც იწერებოდა, კამერულიც იწერებოდა, მისი დანგრევა უდიდესი შეცდომა იყო. ასეთი ბევრი პრობლემაა ჩვენს წინაშე და მჯერა, რომ მოგვარდება.

*– კრებულების გამოცემას არ გეგმავთ?*

– ამ მხრივ დაჩაგრულად არ ვგრძნობ თავს, თვითონ არიან დაინტერესებული და მთხოვენ კრებულების გამოცემას. ყველა ასაკის ადამიანისთვის მაქვს დაწერილი ნაწარმოებები – 3 წლიდან დაწყებული, ზრდასრული მსმენელებით და ოპერებით დამთავრებული. ორი ჩემი ოპერა „ნაცარქექია“ და „ქაჯანა“ დიდი წარმატებით სარგებლობდა ბავშვებში. „ნაცარქექიისთვის“ რუსთაველის პრემიაც კი მომანიჭეს. ძალიან მინდა, რომ აღდგეს, ეს პირველ რიგში ბავშვებისთვის არის საჭირო, თუმცა ჩემთვისაც, რა თქმა უნდა, კარგია. ბავშვები რამდენჯერმეც კი მოდიოდნენ ამ ოპერების სანახავად. ახლანდელ ბავშვებს კი არაფერი აქვთ. ალბათ ოპერა რომ განახლდება, რამეს იფიქრებენ. მიმაჩნია, რომ ბავშვები ჩვენს ეროვნულ ნაწარმოებებზე უნდა აღიზარდნონ. კიდევ კარგი, უნიკალური ხალხური ნაწარმოებები გვაქვს და მას უსმენენ ბავშვები, მაგრამ ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც უნდა იცნობდნენ. ამდენი კომპოზიტორი მუშაობს და აქვთ ნაწარმოებები, რომლებიც ოქროს ფონდშია შესული და რატომ არ უნდა შესრულდეს? არ ვამბობ, რომ აუცილებელია ქართველი კომპოზიტორების ყველა ნაწარმოები იყოს შესრულებული, მაგრამ ხალხს რაც მოეწონება, ის უნდა დაიდგას. ამის მომხრე ვარ.

*– როდესმე თხოვნით დაგიწერიათ ნაწარმოები?*

– არა. ნანი ბრეგვაძე მეხვეწებოდა და მისთვისაც არ დამიწერია. როცა ვოკალურ ნაწარმოებს ვწერ, ტექსტია მთავარი. როცა ვინმე რამეს მთხოვს, არ გამომდის, ამიტომ მივადგები ხოლმე ისევ ანა კალანდაძეს. ბევრი ლექსი მაქვს მისი ამღერებული და დღესაც ვაგრძელებ, თვითონაც ძალიან უხაროდა.

*– თქვენ აგიხდათ ერთ-ერთი ოცნება, გახდით თბილისის საპატიო მოქალაქე. კიდევ რაზე ოცნებობთ?*

– არაფერი არ მინდა, მინდა საქართველოში იყოს მშვიდობა, ერთიანობა და მოვესწრო გაერთიანებულ საქართველოს. ყოველ დღე ამაზე ვლოცულობ, ჩემს ლოცვებშიც ვეხვეწები ღმერთს, რომ გავერთიანდეთ. ძალიან კარგი ქვეყანაა საქართველო, ამაზე ბევრი ლაპარაკი შემიძლია. გარდა იმისა, რომ ჩემი მთელი შემოქმედებით ჩემი ქვეყნის ქებაში ვიყავი, ისედაც ძალიან მიყვარს, რადგან მართლაც რჩეული ქვეყანაა თავისი ბუნებით და არაჩვეულებრივი ხალხით. იმდენად მიყვარს ჩემი ხალხი, რომ გაუთავებლად ვმოგზაურობდი ხოლმე. ჩემი სერიოზული გატაცება მოგზაურობა იყო, მოვლილი მაქვს მთელი საქართველო, ხალხთან ურთიერთობა კი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია.

*– იუბილესთვის ემზადებით?*

– რომელი იუბილესთვის? მე იუბილესი საერთოდ წინააღმდეგი ვარ. არავითარ შემთხვევაში, საერთოდ არ მიყვარს ქება და რაღაცეები, ცუდად ვხდები ხოლმე. როცა ვალდებული ვარ დავწერო ნაწარმოებები, ჩავატარო საანგარიშო კონცერტები, ეს მესმის. ისიც მესმის, როცა მოსწონთ ნაწარმოები, მაგრამ ქება არ მიყვარს, ცუდად მხდის. უნდოდათ ჩემი საიუბილეო კონცერტის ჩატარება, მაგრამ კატეგორიული უარი განვაცხადე, მერე გავიგე, რომ არც ილია ჭავჭავაძეს და არც იაკობ გოგებაშვილს იუბილე არ გადაუხდიათ. ამისთანა ხალხს არ მიაჩნდათ იუბილეები საჭიროდ და მე ვინა ვარ?!

# ინგლისში გრანდების ჯახია



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.09 | სუონსი-ევერტონი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 22.09 | ვესტ ბრომვიჩი-რედინგი | 1.83 | 3.4 | 4.0 |
| 22.09 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 2.4 | 3.2 | 2.8 |
| 22.09 | ჩელსი-სტოკი | 1.28 | 5.0 | 9.0 |
| 22.09 | უიგანი-ფულემი | 2.5 | 3.2 | 2.7 |
| 22.09 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 2.25 | 3.1 | 3.1 |
| 23.09 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.87 | 3.2 | 2.37 |
| 23.09 | ნიუკასლი-ნორვიჩი | 1.73 | 3.6 | 4.33 |
| 23.09 | სიტი-არსენალი | 1.67 | 3.75 | 4.5 |
| 23.09 | ტოტენჰემი-ქპრ | 1.44 | 4.2 | 6.5 |

**სუონსი-ევერტონი**

სუონსი: *ტრავმ-*გარი მონკი, ნილ ტეილორი

ევერტონი: *ტრავმ-*ნიკიცა იელავიჩი, დარონ გიბსონი

**ვესტ ბრომვიჩი-რედინგი**

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ-*სტივენ რიდი, ჯერომ ტომასი

რედინგი: *ტრავმ-*ადამ ფედერიკი, ჯიმი კებე

**საუთჰემპტონი-ასტონ ვილა**

საუთჰემპტონი: *ტრავმ-*სტივ დე რაიდერი, ჯეკ კორკი

ასტონ ვილა: *ტრავმ-*გარი გარდნერი, მარკ ალბრაიტონი, რიჩარდ დანი, სტილიან პეტროვი

**ჩელსი-სტოკი**

ჩელსი: *ტრავმ-*არავინ

სტოკი: *ტრავმ-*ჯიმი ნესი

**უიგანი-ფულემი**

უიგანი: *ტრავმ-*ანტოლინ ალკასარი

ფულემი: *ტრავმ-*კირონ რიჩარდსონი, მაჰამადუ დიარა, სიმონ დევისი, ბრაიან რუისი, ფილიპ სენდეროსი

**ვესტ ჰემი-სანდერლენდი**

ვესტ ჰემი: *ტრავმ-*კარლტონ კოული, ენდი კეროლი, ჯეკ კოლისონი

სანდერლენდი: *ტრავმ-*დანი როუზი, ადამ ჯონსონი, ფილიპ ბიორდსლი, ვესლი ბრაუნი

**ლივერპული-მანჩესტერი**

ლივერპული: *ტრავმ-*ლუკაშ ლეივა, ჯო კოული

მანჩესტერი: *ტრავმ-*პატრის ევრა, უეინ რუნი, ეშლი იანგი, დარენ ფლეტჩერი, ფილ ჯონსი, კრის სმოლინგი

**ნიუკასლი-ნორვიჩი**

ნიუკასლი: *ტრავმ-*სტივენ ტეილორი, ფაბრიციო კოლოჩინი, ჩეიკ ტიოტე

ნორვიჩი: *ტრავმ-*სიმონ ლაპინი, ელიოტ ბენეტი

**სიტი-არსენალი**

სიტი: *ტრავმ-*სამირ ნასრი, მიკა რიჩარდსი

არსენალი: *ტრავმ-*მარუან შამახი, ლუკაშ ფაბიანსკი, ბაქარი სანია, ემანუელ ფრიმპონგი, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი

**ტოტენჰემი-ქპრ**

ტოტენჰემი: *ტრავმ-*ბენუა ასოუ-ეკოტო, იუნის ქაბული, აურელიო გომესი, სკოტ პარკერი

ქპრ: *ტრავმ-*ანტონ ფერდინანდი, ფაბიო, ენდრიუ ჯონსონი, შტეფან მბია

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| 2.მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| 3.არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:1 | 8 |
| 4.სიტი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:6 | 8 |
| 5.სუონსი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| 6.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| 7.ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 8.ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| 9.ფულემი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:6 | 6 |
| 10.ტოტენჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| 11.ნიუკასლი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| 12.სტოკი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| 13.ასტონ ვილა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 14.უიგანი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| 15.სანდერლენდი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| 16.ნორვიჩი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:7 | 3 |
| 17.ლივერპული | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| 18.ქპრ | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | 2 |
| 19.რედინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| 20.საუთჰემპტონი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:14 | 0 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.09 | სარაგოსა-ოსასუნა | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 22.09 | სელტა-ხეტაფე | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 22.09 | ბეტისი-ესპანიოლი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 22.09 | ბარსელონა-გრანადა | 1.06 | 12.0 | 29.0 |
| 23.09 | მალიორკა-ვალენსია | 2.9 | 3.25 | 2.4 |
| 23.09 | ლევანტე-სოსიედადი | 2.1 | 3.4 | 3.4 |
| 23.09 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1.33 | 4.8 | 9.0 |
| 23.09 | ბილბაო-მალაგა | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 23.09 | რაიო-რეალი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 24.09 | დეპორტივო-სევილია | 2.62 | 3.3 | 2.6 |

**სარაგოსა-ოსასუნა**

სარაგოსა: *ტრავმ-*ადამ პინტერი, ივან ობრადოვიჩი, გლენ ლუვენსი

ოსასუნა: *ტრავმ-*არავინ

**სელტა-ხეტაფე**

სელტა: *ტრავმ-*არავინ

ხეტაფე: *ტრავმ-*არავინ

**ბეტისი-ესპანიოლი**

ბეტისი: *ტრავმ-*ხავიერ ჩიკა, ანტონიო ამაია

ესპანიოლი: *ტრავმ-*სერხიო გარსია, რაულ ბაენა, დიეგო კომოტო

**ბარსელონა-გრანადა**

ბარსელონა: *ტრავმ-*ანდრეს ინიესტა, ხორდი ალბა, ისააკ კუენკა, ერიკ აბიდალი

გრანადა: *ტრავმ-*რობერტო, მანუელ ლუკენა, ფრან რიკო, ჰასან იებდა

**მალიორკა-ვალენსია**

მალიორკა: *ტრავმ-*ჯოვანი დოს სანტოსი, ალვარო ხიმენესი

ვალენსია: *ტრავმ-*დავიდ ალბელდა, პაბლო პიატი, ფერნანდო გაგო, სერხიო კანალესი, ევერ ბანეგა

**ლევანტე-სოსიედადი**

ლევანტე: *ტრავმ-*არავინ

სოსიედადი: *ტრავმ-*ხავი პრიეტო, კადამურო, გონსალო კასტრო, გორკა ელუსტუნდო

**ატლეტიკო-ვალიდოლიდი**

ატლეტიკო: *ტრავმ-*აბდელკადერ ქუელასტი

ვალიადოლიდი: *ტრავმ-*არავინ

**ბილბაო-მალაგა**

ბილბაო: *ტრავმ-*ანდერ ერერა

მალაგა: *ტრავმ-*ჯერემი ტულალანი, სებასტიან ფერნანდესი, ჟულიო ბაპტისტა

**რაიო-რეალი**

რაიო: *ტრავმ-*არავინ

რეალი: *ტრავმ-*არავინ

**დეპორტივო-სევილია**

დეპორტივო: *ტრავმ-*დიოგო სალომაო, ლაურე

სევილია: *ტრავმ-*ხოსე ანტონიო რეიესი, დიეგო პეროტი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 12:3 | 12 |
| 2.მალაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| 3.მალიორკა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| 4.სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| 5.ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| 6.რაიო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 7.დეპორტივო | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 6 |
| 8.ბეტისი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| 9.ვალიადოლიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| 10.სოსიედადი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| 11.ვალენსია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| 12.რეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| 13.ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| 14.ლევანტე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| 15.ბილბაო | 4 | 1 | 1 | 2 | 8:12 | 4 |
| 16.სელტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:5 | 3 |
| 17.სარაგოსა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| 18.გრანადა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| 19.ესპანიოლი | 4 | 0 | 1 | 3 | 7:10 | 1 |
| 20.ოსასუნა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.09 | პარმა-ფიორენტინა | 2.45 | 3.2 | 2.9 |
| 22.09 | იუვენტუსი-კიევო | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| 23.09 | სამპდორია-ტორინო | 2.05 | 3.25 | 3.75 |
| 23.09 | კატანია-ნაპოლი | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 23.09 | უდინეზე-მილანი | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 23.09 | ინტერი-სიენა | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| 23.09 | ბოლონია-პესკარა | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 23.09 | კალიარი-რომა | 3.0 | 3.8 | 2.15 |
| 23.09 | ატალანტა-პალერმო | 1.85 | 3.6 | 4.0 |
| 23.09 | ლაციო-ჯენოა | 1.53 | 4.0 | 6.0 |

**პარმა-ფიორენტინა**

პარმა: *ტრავმ-*ფაბიო სანტაკროჩე, ნიკოლა სანსონე, ამაური

ფიორენტინა: *ტრავმ-*ალბერტო აკლვილანი, ფრანჩესკო დელა როსა

**იუვენტუსი-კიევო**

იუვენტუსი: *ტრავმ-*სიმონე პადოინი, სიმონე პეპე

კიევო: *ტრავმ-*ლორენცო სქუზი, ალბერტო პალოსკი

**სამპდორია-ტორინო**

სამპდორია: *ტრავმ-*ნიკოლა პოცი, სერხიო რომერო, ხუან ანტონიო

ტორინო: *ტრავმ-*ვალტერ ბირსა, უილიან ბარბოსა

**კატანია-ნაპოლი**

კატანია: *ტრავმ-*ალესანდრო პოტენცა

ნაპოლი: *ტრავმ-*არავინ

**უდინეზე-მილანი**

უდინეზე: *ტრავმ-*დუშან ბასტა, ლუის მურიელი, ჟელკო ბრკიჩი, ემანუელ ბადუ

მილანი: *ტრავმ-*ჯანპაოლო პაცინი, რიკარდო მონტოლივო, რობინიო, დიდაკ ვილა, სალი მუნტარი, პატუ

**ინტერი-სიენა**

ინტერი: *ტრავმ-*როდრიგო პალასიო, რიკარდო ალვარესი, მაკდონალდ მარიგა, კრისტიან კივუ, გაბი მუდინგაი, ჯოელ ობი

სიენა: *ტრავმ-*ფრანჩესკო ვალიანი, ფელიპე, რობერტო ვიტიელო

**ბოლონია-პესკარა**

ბოლონია: *ტრავმ-*რენე კრინი, დანიელე პონტანოვა, მარკ რივეოლა

პესკარა: *ტრავმ-*ივან პელიცოლი, სიმონე რომანოლი

**კალიარი-რომა**

კალიარი: *ტრავმ-*დავიდე ასტორი, მარკო საუ, ვინჩენცო კამილერი

რომა: *ტრავმ-*პაბლო ოსვალდი, დანიელე დე როსი, სიმონე პეროტა, დოდო

**ატალანტა-პალერმო**

ატალანტა: *ტრავმ-*ეზეკიელ შელოტო, ივან რადოვანოვიჩი, გვიდო მარილუნგო, დანიელე კაპელი

პალერმო: *ტრავმ-*ედგარ ბარეტო, ფრანკო ბრიენზა, მაურო კეტო, არენ ზაჰავი

**ლაციო-ჯენოა**

ლაციო: *ტრავმ-*შტეფან რადუ, კრისტიან ბროკი, მობიდო დიაკიტე

ჯენოა: *ტრავმ-*ხუან ვარგასი, მარკო როსი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| 2.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 3.ლაციო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| 4.სამპდორია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 8 |
| 5.ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| 6.ფიორენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| 7.რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| 8.კატანია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| 9.ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 3 |
| 10.მილანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| 11.ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| 12.პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 13.კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 14.ბოლონია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| 15.ატალანტა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 2 |
| 16.კალიარი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| 17.უდინეზე | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| 18.პალერმო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |
| 19.პესკარა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |
| 20.სიენა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -4 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.09 | ვოლფსბურგი-ფიურტი | 1.85 | 3.6 | 4.0 |
| 22.09 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 5.0 | 4.0 | 1.61 |
| 22.09 | შალკე-ბაიერნი | 4.0 | 3.6 | 1.85 |
| 22.09 | ფორტუნა-ფრაიბურგი | 2.05 | 3.4 | 3.5 |
| 22.09 | მაინცი-აუგსბურგი | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 23.09 | ლევერკუზენი-გლადბახი | 2.0 | 3.6 | 3.6 |
| 23.09 | ვერდერი-შტუტგარტი | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 23.09 | ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი | 2.4 | 3.5 | 2.8 |

**ვოლფსბურგი-ფიურტი**

ვოლფსბურგი: *ტრავმ-*იან პოლაკი, მახსიმილიან არნოლდი, მარკო რუსი, ფერლან ჰასანი, სოტირიოს კირიაკოსი, პატრიკ ჰელმესი

ფიურტი: *ტრავმ-*დიბი ფალი, კევინ კრაუსი, რობერტ ზილნერი

**ჰამბურგი-დორტმუნდი**

ჰამბურგი: *ტრავმ-*დენის აოგო, იანეკ სტერნბერგი, სლობოდან რაიკოვიჩი, ტომას რინკონი

დორტმუნდი: *ტრავმ-*პატრიკ ომოვოიელა, მუსტაფა ამინი, ზლატან ალომეროვიჩი

**შალკე-ბაიერნი**

შალკე: *ტრავმ-*ვასილიოს პლიაციკასი, ტიმო ჰილდებრანდი

ბაიერნი: *ტრავმ-*მარიო გომესი, დავიდ ალაბა, დიეგო კონტენტო

**ფორტუნა-ფრაიბურგი**

ფორტუნა: *ტრავმ-*სტეფან რაისინგერი, ბრუნო სოარესი, ალიოსმან აუდინი

ფრაიბურგი: *ტრავმ-*იან როზენტალი, დანიელ კალიგიური, ალექსანდე შოულოუ

**მაინცი-აუგსბურგი**

მაინცი: *ტრავმ-*ეუგენ პოლანსკი, ივან კლასნიჩი, ნიკოლაი მიულერი, ტობიას შილკი

აუგსბურგი: *ტრავმ-*მუსონა, კო ჯა ჩეოლი, სიმონ ჯენტში

**ლევერკუზენი-გლადბახი**

ლევერკუზენი: *ტრავმ-*სიდნი სამი, ნიკლას ლომბი

გლადბახი: *ტრავმ-*არავინ

**ვერდერი-შტუტგარტი**

ვერდერი: *ტრავმ-*მეჰმეთ ეკიჩი, ფელიქს კროოსი, პრედრაგ სტევანოვიჩი, კრისტიან ვანდერი

შტუტგარტი: *ტრავმ-*ანდრე ვეისი, ზდრავკო კუზმანოვიჩი, დანიელ დიდავი, იოან აუდელი

**ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი**

ჰოფენჰაიმი: *ტრავმ-*კრისი, იენს გრალი

ჰანოვერი: *ტრავმ-*კრისტიან პანდერი, მამე ბირამ დიუფი, იანიკ შულცე, დამუელ რადლინგერი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:2 | 9 |
| 2.აინტრახტი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| 3.ჰანოვერი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| 4.შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| 5.დორტმუნდი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 6.ნიურნბერგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| 7.ფორტუნა | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 4 |
| 8.ფრაიბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| 9.გლადბახი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 10.ვოლფსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:4 | 4 |
| 11.ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| 12.ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 13.ფიურტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| 14.მაინცი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| 15.აუგსბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| 16.შტუტგარტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |
| 17.ჰამბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | 0 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.09 | ბასტია-პსჟ | 5.0 | 3.75 | 1.67 |
| 22.09 | ლორიენი-ნიცა | 1.95 | 3.2 | 4.2 |
| 22.09 | რეიმსი-ნანსი | 2.3 | 3.1 | 3.2 |
| 22.09 | ბრესტი-ვალანსიენი | 2.7 | 2.87 | 2.5 |
| 22.09 | სოშო-ტრუა | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 22.09 | ტულუზა-რენი | 2.15 | 3.2 | 3.5 |
| 23.09 | ბორდო-აიაჩო | 1.53 | 3.75 | 7.0 |
| 23.09 | მარსელი-ევიანი | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 23.09 | ლილი-ლიონი | 2.2 | 3.2 | 3.4 |

**ბასტია-პსჟ**

ბასტია: *ტრავმ-*ჟილ კიონი, სალიმ მოიზინი, იასინ ელ-აზიუზი

პსჟ: *ტრავმ-*ტიაგო სილვა, მოჰამედ სისოკო, მეტიუ ბოდმერი

**ლორიენი-ნიცა**

ლორიენი: *ტრავმ-*მეტიუ კუტადე, ანრო ლე ლანი, ბრუნო მანგა

ნიცა: *ტრავმ-*მუსა მბოუ, ალექსი ბოსეტი, კევინ ანინი, დიაკო ფოფანა, ხავიერ პენტეკოტე

**რეიმსი-ნანსი**

რეიმსი: *ტრავმ-*ჟულიენ ტუდიჩი, იოან რამარე, მოჰამედ ფოფანა, ოდაირ ფორტესი, ფლოიდ აიიტე

ნანსი: *ტრავმ-*ელდერი, ზირი ჰამარი, აბდურაჰმან დამპა

**ბრესტი-ვალანსიენი**

ბრესტი: *ტრავმ-*ბრუნო გროუ, ალექსანდერ ალფონსე, ოსმან კულიბალი, ბროუ აპანგა

ვალანსიენი: *ტრავმ-*გრეგორი პუიოლი, რემი გომისი, კამა მასამპუ, დუშან ჯურიჩი, ბენჯამინ ანგუა

**სოშო-ტრუა**

სოშო: *ტრავმ-*რაფაელ დიასი, პიერიკ კროსი, იასინ მიკარი

ტრუა: *ტრავმ-*ელოგე ენზა-იასიმი

**ტულუზა-რენი**

ტულუზა: *ტრავმ-*არავინ

რენი: *ტრავმ-*კრის მავინგა

**ბორდო-აიაჩო**

ბორდო: *ტრავმ-*დავიდ ბელიონი, ფაჰიდ ბენ ჰალიფა, ანდრე ბიოგო პოკო

აიაჩო: *ტრავმ-*არნო მაირე, ფელიპე საადი, ფრედერიკ სამარიტანო

**მარსელი-ევიანი**

მარსელი: *ტრავმ-*კასიმ აბდალაჰი, ლოიკ რემი, ლუკას მენდესი, ლეიტი ნდიაე, სულეიმან დიავარა

ევიანი: *ტრავმ-*ერიკ ტიე ბი, სედრიკ მონონგუ, მიქაელ სალამონე

**ლილი-ლიონი**

ლილი: *ტრავმ-*არავინ

ლიონი: *ტრავმ-*იოან გურკუფი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მარსელი | 5 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 15 |
| 2.ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| 3.ლორიენი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 11 |
| 4.პსჟ | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| 5.ბორდო | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 9 |
| 6.ვალანსიენი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| 7.ტულუზა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| 8.ნიცა | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 7 |
| 9.რეიმსი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| 10.აიაჩო | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | 7 |
| 11.სტ.ეტიენი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:7 | 6 |
| 12.ლილი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| 13.ბრესტი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:10 | 6 |
| 14.ბასტია | 5 | 2 | 0 | 3 | 7:12 | 6 |
| 15.მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |
| 16.ევიანი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |
| 17.ნანსი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| 18.რენი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:9 | 3 |
| 19.სოშო | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| 20.ტრუა | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | 2 |

# თემურ ქეცბაია: ისეთი გუნდი მინდა, რომელიც ევრო-2016-ისთვის იბრძოლებს

ათიოდე დღის წინ საფეხბურთო სამყარო გაოგნებული ადევნებდა თვალს, როგორ წვალობდა 86 წუთის განმავლობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ესპანეთი ფიფას 2014 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ. რობერტო სოლდადოს გვიანმა გოლმა „ფურია როხას“ 1:0 მოაგებინა, თუმცა თემურ ქეცბაიას გუნდმა უკვე დაამტკიცა, რომ საქართველოს ნაკრებს ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს.

ეჭვგარეშეა, რომ ფეხბურთი ვითარდება შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანაში. ამაში ფიფა-კოკაკოლას მსოფლიო რეიტინგიც გვარწმუნებს. მხოლოდ სექტემბერში ისინი თერთმეტი პოზიციით დაწინაურდნენ და 86-ე ადგილზე გადაინაცვლეს. ეს არის ნახტომი, რომელიც მათ საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს. საქართველო ჯერ კიდევ შორსაა თავისი საუკეთესო პოზიციისგან, როდესაც 1998 წელს რეიტინგში 42-ე იყო. თუ ისინი ასეთივე ტემპით წინსვლას გააგრძელებენ, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, მათი რეალური, გრძელვადიანი მიზანი გახდება.

ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში თემურ ქეცბაიამ საქართველოს ფეხბურთის ალმავლობის მიზეზი ახსნა.

– ჩვენ გვყავს ახალგაზრდა ტალანტები, რომლებიც წარმატებისთვის ყველაფერს აკეთებენ. მათი პირადი მიზანია, გააგრძელონ თამაში ინდივიდუალურადაც და შენიშნონ წარმატებულმა ევროპულმა კლუბებმა. ძალიან ბევრმა მოთამაშემ გააანალიზა, რომ ეროვნული ნაკრები არის როგორც მათი ქვეყნის, ასევე მათი კარიერის მომავალი. ასე რომ, ფეხბურთელები აკეთებენ ყველაფერს, რათა აჩვენონ საუკეთესო შედეგი და მოიპოვონ აღიარება.

ამ ასპექტით თავად ქეცბაია იდეალური მაგალითია. გარდა იმისა, რომ ეროვნულ ნაკრებში 49 შეხვედრა ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა, აგრეთვე თამაშობდა ფამაგუსტას „ანორთოსისში“, ათენის „აეკში“, „ნიუკასლ იუნაიტედში“, „ვულვერჰემპტონ ვონდერერსში“, „დანდიში“. მას შემდეგ, რაც საფეხბურთო კარიერა დაასრულა, „ანორთოსისში“ დაბრუნდა, ბოლოს კი საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსში“ მუშაობდა. 44 წლის თემურ ქეცბაია არის ადამიანი, რომელმაც ყოველთვის იცის, რაზე საუბრობს.

1:0 გამარჯვება ბელარუსთან და თერთმეტი პოზიციით წინსვლა მსოფლიო კლასიფიკაციაში. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშებმა აჩვენა, რომ საქართველოს ამჟამინდელ ნაკრებს შეუძლია, გაგვაკვირვოს.

– გუნდი ძლიერ მოტივირებულია, მებრძოლი ნაკრებია და მე ვხედავ, რომ მათ მართლა სურთ, ღირსეული შედეგი ჰქონდეთ ქვეყნისთვის, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ჩვენ დამოკიდებულივართ არა მხოლოდ ძირითად მოთამაშეებზე, არამედ მთლიანად გუნდზე, – ამბობს ქეცბაია, რომელმაც არ გამოარჩია კონკრეტული ფეხბურთელები.

გულშემატკივრები აღფრთოვანებულნი არიან საკუთარი ვარსკვლავებით და ეს ენთუზიაზმი კარგად იგრძნობა 4,5-მილიონიანი ქვეყნის მოსახლეობაში.

– ფეხბურთი საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია. თქვენ აქ ნახავთ ხალხს, რომლებსაც უყვართ და, უბრალოდ, ცხოვრობენ ფეხბურთით. უკანასკნელი წლების მანძილზე, სამწუხაროდ, გუნდი არ აჩვენებდა თავის საუკეთესო შედეგს. ამის მიუხედავად, ბოლო თამაშებზე 60.000-ზე მეტი ადამიანი გულშემატკივრობდა თავის ქვეყანას. ხალხს უყვარს ეროვნული ნაკრები და სურს, ნახოს საქართველო რომელიმე შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე, – განაცხადა ქეცბაიამ.

2014 წლის ბრაზილიის მსოფლიო თასისკენ მიმავალი გზა ძალიან რთულია როგორც გუნდის კაპიტან ჯაბა კანკავასთვის, ასევე მთელი ნაკრებისათვის. ესპანეთისა და ბელარუსის შემდეგ საქართველო საფრანგეთთან და ფინეთთან ითამაშებს და ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებისთვის იბრძოლებს.

– ძალიან ძნელია კონკრეტულად გუნდზე საუბარი, რადგან ნაკრები კვლავ ძიებაშია, მაგრამ მჯერა, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, საჭირო ქულები აიღოს და მიზანს მიაღწიოს.

თემურ ქეცბაიას მთავარი მიზანი კი, რომელიც 1998 და 2002 წლების მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე თოთხმეტნომრიანი მაისურით თამაშობდა, ასე ჟღერს – გვინდა, კარგი და ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ, რომელსაც ექნება შანსი, 2016 წელს ევროპის ჩემპიონატის მონაწილე იყოს.

# პაკისტანში დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა

პაკისტანში, ანტიისლამური ფილმის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო გამოსვლისას, დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

პაკისტანის ერთ-ერთი ტელეარხის ცნობით, მათი ერთი თანამშრომელი პეშავარში პოლიციის გასროლილ ტყვიას ემსხვერპლა. პოლიცია ბრბოს დაშოშმინებას ცდილობდა, რომელიც კინოთეატრის გადაწვას შეეცადა.

დემონსტრანტებმა გადაწვეს მანქანები და პაკისტანის დედაქალაქ ისლამბადთან არაერთი შენობა დააზიანეს.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, აღმოსავლეთი ახალი ანტიამერიკული აქციებისთვის ემზადება, ბევრ ქვეყანაში სრულ მზადყოფნაშია მოყვანილი უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.

დღეს პაკისტანის ხელისუფლებამ „მუჰამედის სიყვარულის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, ნება დართო საზოგადოებას მშვიდობიანი ანტიამერიკული საპროტესტო აქცია ჩაეტარებინა.

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ამ დღეებში არაბული სამყარო ისევ დაიწყებს აქციებს.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური მიმართვით ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გამოვიდნენ და



განაცხადეს, რომ ეს ფილმი ამერიკის ხელისუფლების შეკვეთით არ გადაღებულა, მოსახლეობა ისევ უკიდურესად აღშფოთებულია.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ვიქტორია ნულანდის განცხადებით, ამერიკამ 70 000 ამერიკული დოლარი გადაუხადა პაკისტანის ტელევიზიებს, რათა სარეკლამო დროის ნაცვლად, ობამასა და კლინტონის მიმართვა გაეშვათ.

დღესვე, მუსლიმანურ ქვეყნებში რამდენიმე საელჩო დახურვას აპირებს. აღნიშნული წინასწარმეტყველ მუჰამედზე გადაღებულ ფილმსა და ფრანგული ჟურნალის მიერ მუჰამედის კარიკატურების დაბეჭდვას უკავშირდება. მუსლიმები საპროტესტო გამოსვლების გაძლიერებას გეგმავენ.

სი-ენ-ენის ცნობით, დღეს ამერიკის საელჩო დაიხურება ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში. გერმანია კი საელჩოს სუდანის დედაქალაქ ხართუმში დახურავს.

– საზღვარგარეთ ჩვენს დიპლომატიურ მისიებში უსაფრთხოების ზომები გაძლიერდება, – განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველმა.

წინასწარმეტყველ მუჰამედზე გადაღებულ ფილმს „მუსლიმანების უცოდველობას“ გუშინ პაკისტანში, ირანსა და ავღანეთში აპროტესტებდნენ.

ევროკავშირის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა კეტრინ ეშტონმა დაგმო მუსლიმანურ ქვეყნებში ამერიკისა და ევროპული ქვეყნების საელჩოებზე თავდასხმის, მკვლელობების ფაქტები და ხელისუფალთ დიპლომატიური კორპუსების უსაფრთხოებისა და დაცვისკენ მოუწოდა.

– მე ყურადღებით ვადევნებ თვალს მიმდინარე მოვლენებს, შეშფოთებული ვარ არსებული სიტუაციით და მოვუწოდებ აღმოსავლეთის ქვეყნების ხელისუფლებას, სასწრაფოდ მოახდინოს დიპლომატიური მისიის პერსონალის უსაფრთხოება და დაცვა, - აღნიშნა ეშტონმა.

კალიფორნიის შტატის სასამართლომ კი, ამერიკელი მსახიობის სინდი ლი გარსიას სარჩელი, წაეშალათ ფილმი „მუსლიმანთა უცოდველობა“ იუთუბიდან, უარყო. ამის შესახებ ამერიკული გაზეთი „ლოს ანჯელეს თაიმსი“ იტყობინება. სასამართლოს დადგენილებით, სასამართლო აკრძალვის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

მსახიობის ადვოკატმა კრის არმენტამ უკვე განაცხადა გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ. სინდი ლი გარსიამ სასამართლოში უჩივლა პორტალ იუთუბსა და პროვოკაციული ფილმის პროდიუსერს. მან მოითხოვა მორალური ზიანისთვის კომპენსაციის გადახდა და ფილმის ვიდეოს ქსელიდან წაშლა.

ლინდი ლი გარსიას თქმით, ფილმის შემქმნელებმა დაუმალეს მას, თუ რაში მდგომარეობდა ფილმის აზრი. მსახიობი ამტკიცებს, რომ გადაღებების დროს მსახიობები სხვა ტექსტებს ამბობდნენ და წინასწარმეტყველი მუჰამედის ხსენება არ ყოფილა. მისი თქმით, ფილმი სტუდიაში სხვა მსახიობებმა გადააახმოვანეს.

ლი გარსიამ ფილმის პროდიუსერი დაადანაშაულა იმაში, რომ მან დაარწმუნა მსახიობი, მონაწილეობა მიელო მის ფილმში და დაჰპირდა, რომ ეს იქნებოდა სათავგადასავლო ფილმი უდაბნოზე. მსახიობი მორალური ზარალისთვის კომპენსაციას ითხოვს. მისი თქმით, ფილმის გამოსვლის შემდეგ, მისი მიმართულებით მუქარები იგზავნება.

შეგახსენებთ, რომ ფილმის გამოსვლის დღიდან, რამდენიმე ქვეყანაში, მუსლიმანებმა მასობრივი გამოსვლები დაიწყეს. აქციები ეგვიპტეში, იემენში, სუდანში, ტუნისში, პაკისტანსა და ბანგლადეშში გაიმართა. ლიბიის ქალაქ ბენღაზში ისლამისტებმა ამერიკის საელჩოს შეუტიეს, სადაც 4 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ამერიკის ელჩი კრის სტივენსიც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკანდალურ ფილმში – „ისლამის უცოდველობა“ ქართველი ანა გურჯი თამაშობს.

# აშშ-ის 33 ათასმა ჯარისკაცმა ავღანეთი დატოვა

ნატოს დამატებითმა სამხედრო კონტინგენტმა, რომელიც პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ავღანეთში სამი წლის წინ გაგზავნა და რომლის შემადგენლობაში 33 ათასი აშშ-ის ჯარისკაცი იყო, 21 სექტემბერს ქვეყანა დატოვა.

თავის დროზე, კონტინგენტის ზრდის მოტივაციას თალიბანის აქტივობის შეჩერება და ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების გაძლიერებისთვის სათანადო დროის მიცემა იყო.

ავღანეთში კვლავინდებურად რჩება 70 ათასი ამერიკელი სამხედრო ჯარისკაცი, რომელიც ქვეყანას 2014 წელს დატოვებს. ისინი სამთავრობო ჯარისკაცებს წვრთნებსა და სწავლებებს უტარებენ.

საერთაშორისო კონტინგენტის მთავარ ამოცანად ამ ეტაპზე ავღანური ჯარის შესაბამისი მომზადება რჩება, რომელთაც მათ შემცვლელად და ქვეყნის დასაცავად ამზადებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს გახშირდა ნატოს ჯარისკაცებზე თავდასხმის ფაქტები, რომელშიც ავღანელი პოლიციელები და სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობენ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნატომ სამი თვით შეაჩერა ავღანეთის შეიარაღებულ სტრუქტურებთან ერთად სამხედრო პატრულირება და კურსანტების სწავლება.

ამასთან, ამერიკულმა სამხედრო სარდლობამ ავღანეთში ოპერაციების



შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ამის მიზეზი ადგილობრივი სამხედროების მიერ ამერიკელ ჯარისკაცებზე თავდასხმის ფაქტების გახშირება გახდა.

ცნობილია, რომ შეზღუდვა ავღანეთში ნატოს საერთაშორისო კოალიციის (აისაფი) ყველა წევრს ეხება. გენერალ ჯონ ალენის განცხადებით, რომელიც ავღანეთში სამოკავშირეო ჯარებს სარდლობს, აუცილებლად უნდა გადაიხედოს ჯარისკაცების დაცვის არსებული ზომები და საბრძოლო მოქმედებების წარმოება. ამ დრომდე კი, ავღანეთში ოპერაციების ნაწილი შეჩერდება.

მისივე განცხადებით, შეზღუდვა, უპირველესად, იმ ოპერაციებს შეეხება, რომელსაც ნატოს სამხედროები უსაფრთხოების ადგილობრივი ძალების თანამშრომლებთან ერთად აწარმოებენ. სი-ენ-ენის მონაცემებით, 2012 წლის დასაწყისიდან უსაფრთხოების ძალებთან ერთად მომხდარ ინციდენტებში აისაფის 50-ზე მეტი ჯარისკაცი დაიღუპა.

უკანასკნელ წლებში აისაფის სამხედროები ადგილობრივი უსაფრთხოების ძალების მომზადებით არიან დაკავებულნი. 2014 წელს, კოალიციური ჯარების მიერ ქვეყნის დატოვების შემდეგ, მათ წესრიგის დაცვა საკუთარი ძალებით მოუწევთ. ჯონ ალენის განცხადებით, ნატოს ჯარისკაცებზე თავდასხმის ფაქტების გახშირება იმის ნიშანია, რომ უსაფრთხოების ძალებში თალიბანის წევრებმა შეაღწიეს.

# ვარდებით მოსული მთავრობა ცოცხებით მიდის

**რუსთავი 2** 08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 MTV MY SUPER SWEET 09.30 MTV MADE 10.00 ვუნდი. 10.30 PIMP MY RIDE 11.00 MTV ENGAGED&UNDERAGED 11.00 MTV ENGAGED&UNDERAGED 11.30 MTV LAGUNA BEACH. 12.00, 15.00, 18.00, 03.30 კურიერი 12.30 ჯეო-მეგზური. 13.00 შიშის ფაქტორი. 14.00 სერ. „ზეციდან მოსულები" 15.30 სერ. „TERRA NOVA" 17.00 სერ. „თეთრი სამყარო" 18.30 სიცილის ზონა 19.00 სერ. „ქიმი ჰაუსი" 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 MTV PARIS HILTON'S MY NEW BFF 00.30 TIARA GIRLS 01.00 MTV BUSTED 01.30 მხ.ფ. (ტიტ.) 04.00 მხ.ფ. (ტიტ.) 05.30 მხ.ფ. (ტიტ.)

**მზე** 08.00 მხ. ფ. 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. „ჩემი შეყვარებული" 11.00 პულსი 11.30 ან.ფ. 12.15 სერ. „შტრაუსების დინასტია" 13.00 სერ. „მოგზაურობა ადამიანის გულში" 14.10 სერ. „იაზონი და არგონავტები" 15.00 მხ. ფ. [illegible] სერ. „ვერონიკა მარსი" 18.00 მხ. ფ. 20.00 სერ. „ტყუპები" 21.00 სერ. „გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ.ფ. 00.15 მხ.ფ. 01.40 მხ.ფ.

**აჭარა** 08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 „დრო" 09.00 მუსიკა 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 სერიალი „ნაზი ფერი" 12.30 მუსიკა 13.00, 21.15 სერიალი „საგა" 15.00 დოკ სერ "ჯეიმს ოლივერი" 15.30 სერ. „მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფ. „დიადი მუსიკა" 18.00 დოკ. ფ. „ძლიერი მოთამაშეები" 18.30 მხ. ფ. „სუპერი არაჟანა" 23.00 მხ. ფ. „გასასვლელი" 01.00 მხ. ფ. „უცნაური წყვილი"

**ერთსულოვნება** 08.00 დილის ლოცვა. 08.20 სახარება. 08.30 ჩვენი ფონდი. 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი. 09.05 განთიადი (კოლაჟი). 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.15 სიახლენი. 10.40, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური. 10.45 ქართული ხმები 11.25 მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 11.30 ქართული ალბომი. 12.05 ამინდი. 12.15 ერთსულოვნების სალონი. 13.10 გუთნისდედა. 13.40 ჩვენი ტრაპეზი 13.50 ქართული მულტფილმი. 14.00 ერთი დღე მონასტერში. 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება. 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.55 გზა, რომლითაც ვიარე. 16.15 მოკვ. „დიდი დღე" 16.50 სალვთისმეტყველო საუბრები. 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. 18.05 პატრიარქის ქადაგება. 18.30 დროის ჩანაწერები 19.35 მხ. ფ. „სიყვარული ყველას უნდა" 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.40 21.35 ლექსით ქებათა ქება [illegible] 23.00 საღამოს ლოცვა. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაირკვევა თუ არა ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობის დამკვეთის ვინაობა?

20 სექტემბერს ლონდონის სასამართლოში ჩატარდა ალექსანდრე ლიტვინენკოს საქმის წინასწარი მოსმენა. ლიტვინენკოს საქმის სასამართლო გამოძიება 2013 წელს დაიწყება. ბრიტანულ მართლმსაჯულებით ასეთი პროცედურა გათვალისწინებულია და ამას ინკვესტს უწოდებენ. ინკვესტის დროს არ წარმოებს სასამართლოებისათვის დამახასიათებელი პაექრობა პროკურორსა და ადვოკატს შორის. ამ დროს მსჯავრის გამოტანა არ ხდება. უბრალოდ, მიმდინარეობს ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმის საჯარო კვლევა. წარმოადგენენ დოკუმენტებს, მოწმეთა ჩვენებებს, ყველაფერს, რისი დადგენაც წინასწარი გამოძიების დროს მოხერხდა. მოსამართლემ კი უნდა განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება ეს მასალები სინამდვილეს და რამდენადაა ჭეშმარიტი დადგენილი დანაშაულის გარემოებანი. ამ დროს გამოვლენილ კონკრეტულ პირთა ბრალეულობის ხარისხს კი უკვე ჩვეულებრივი სასამართლო წყვეტს.

– ინკვესტი რეზონანსული სისხლის სამართლის საქმეებისას გამოიყენება, როცა გავლენიან ძალებს ამა თუ იმ მიზეზის გამო არ სურთ დამნაშავეთა გამოვლენა-დასჯა, – წერს ცნობილი მწერალი ვან გულიკი.

ლიტვინენკოს საქმეს კი მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. ინტერესს იწვევდა თავად ლიტვინენკოს პერსონა, რომელიც კადრის ჩეკისტი და ბორის ბერეზოვსკისთან დაახლოებული პირი იყო. მის სიკვდილში კი „მოსკოვის ხელი“ ნათლად გამოიკვეთა:

– ლიტვინენკო პოლონიუმითაა მოწამლული. როგორც ჩანს, ის თავისი ჩეკისტი კოლეგების მსხვერპლი გახდა, – ეს ინფორმაცია თავის დროზე ბი-ბი-სი-მ გაავრცელა.

ალექსანდრე ვალტერის ძე ლიტვინენკო (1962–2006) ვორონეჟში ექიმის ოჯახში დაიბადა. საშუალო სკოლა ნალჩიკში დაამთავრა. როგორც კადრის ჩეკისტი, წლების მანძილზე მოღვაწეობდა სუკში, მსახურობდა მესამე განყოფილებაში (სამხედრო კონტრდაზვერვა), იბრძოდა ყოფილი სსრკ-ის ყველა „ცხელ წერტილში“. იმპერიის დანგრევის შემდეგ მან საქმიანობა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურში განაგრძო, 1994 წლიდან კი უკვე ბორის ბერეზოვსკის გვერდით ვხედავთ.

– ბერეზოვსკისთან ნაცნობობამ ლიტვინენკოს ბედზე საბედისწერო გავლენა იქონია, – წერს „იზვესტია“.

როგორც ცნობილია, ლიტვინენკომ სახელი სკანდალური პრესკონფერენციით (1998 წლის 17 ნოემბერი) გაითქვა. როცა ჯერ კიდევ ფედერალური უშიშროების სამსახურში მუშაობდა, მან განაცხადა, რომ უფროსები ბორის ბერეზოვსკის ლიკვიდაციას სთხოვდნენ, რაზეც უარი თქვა:

– თავისთავად სენსაციას წარმოადგენდა ის, რომ აღნიშნული სიტყვები უშიშროების მოქმედი ოფიცრის პირიდან გაისმა.



ლიტვინენკოც ოლეგ კალუგინის შემდეგ სუკის წიაღიდან გამოსულ მეორე დისიდენტად აღიარეს, – წერდა „ფაინენშელ ტაიმსი“.

დისიდენტებს დევნიან. ლიტვინენკოც დააპატიმრეს. მართალია, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო, მაგრამ მოხდა გაუგონარი ფაქტი: უკვე სასამართლო დარბაზში, როცა ყველას საქმე მოგებული ეგონა, ლიტვინენკოს ახალი ბრალდება წაუყენეს (თანამდებობის ბოროტად გამოყენება). შედეგად, გათავისუფლების ნაცვლად, ავადსახსენებელი ბუტირკის ციხის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. მართალია, დასავლეთის ზეწოლის შემდეგ ლიტვინენკო გაათავისუფლეს, მაგრამ რუსეთში მას აღარ დაედგომებოდა. ფსბ მის წინააღმდეგ ახალ-ახალ საქმეებს თითხნიდა. ლიტვინენკოც იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. 2001 წელს დიდმა ბრიტანეთმა მას პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. შემდგომში ლიტვინენკომ ბრიტანეთის მოქალაქეობაც მიიღო.

– რუსული უშიშროება ლიტვინენკოს ემიგრაციაშიაც არ ასვენებდა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“, – მის წინააღმდეგ ერთმანეთის მიყოლებით ეწყობოდა პროვოკაციები.

მართლაც, მალე ლიტვინენკოსთან კონტაქტზე რუსეთის უშიშროების ორი ოფიცერი გავიდა. მათ განუცხადეს, რომ ფსბ-ში ანტიპუტინური შეთქმულება მზადდება და რომ შეთქმულნი ბორის ბერეზოვსკის ფინანსურ მხარდაჭერას მოელიან. ყოფილმა ჩეკისტმა ამის თაობაზე ბერეზოვსკის აცნობა, რომელიც ასევე ინგლისში ცხოვრობდა. ბორის აბრამოვიჩმა ურჩია, პოლიციისათვის მიემართა. ლიტვინენკო ასეც მოიქცა. შედეგად რუსეთის უშიშროების ხსენებული ოფიცრები დააპატიმრეს. გამოძიებისას დადგინდა, რომ დიდ ბრიტანეთში მართლაც პროვოკაციული მიზნით ჩავიდნენ. ამრიგად, რუსული პროვოკაცია ჩაიშალა. ლიტვინენკომ შემდგომშიც ფსბ-ს შეთქმულებები არაერთგზის ამხილა. ასე მაგალითად, მან განაცხადა, რომ ალ-კაიდას ერთ-ერთი ლიდერი ალზარქავი სპეცმომზადებას ფსბ-ს ერთ-ერთ ბაზაზე გადიოდა. ლიტვინენკომ ასევე განაცხადა, რომ დანიის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული კარიკატურა მუჰამედზე ფსბ-ს დაკვეთით შეიქმნა:

– ამით მიისწრაფოდნენ, მუსლიმანებში ანტიდასავლური განწყობილებები გაეღვივებინათ, – თვლიდა ექსჩეკისტი.

ლიტვინენკოს სიკვდილში რუსი ბიზნესმენი, წარსულში კი სპეცსამსახურის თანამშრომელი ლუგოვოი და მისი მეგობარი კოვტუნი დაადანაშაულეს. სკოტლანდ-იარდის ვერსიით, პოლონიუმით ლიტვინენკო სწორედ ლუგოვოიმ მოწამლა, თუმცა მკვლელის პასუხისგებაში მიცემა ვერ მოხერხდა, რადგან ის უკვე რსფსრ-ს ტერიტორიაზე იმყოფებოდა. რუსეთის მხარემ მისი ბრიტანეთისთვის გადაცემაზე უარი განაცხადა. რუსეთის პროკურატურის მოტივი სტანდარტული იყო: ინგლისელთა მიერ შეგროვილი მამხილებელი მასალა არასაკმარისია. ლუგოვოიც და კოვტუნიც ინგლისური მართლმსაჯულებისათვის მიუწვდომელნი გახდნენ.

– ამრიგად, კონკრეტულმა დამნაშავემ კუთვნილი ვერ მიიღო, – მიიჩნევს რადიო „თავისუფლება“.

ლიტვინენკოს ქვრივი, ქალბატონი მარინა, ამაოდ მოითხოვდა, რათა მკვლელები დაუსწრებლად გაესამართლებინათ, მკვლელობაში კი ბრალი რუსეთის სახელმწიფოსათვის წაეყენებინათ. მარინა ლიტვინენკო თვლიდა, რომ შემკვეთი, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იყო. მან, როგორც უმაღლესი თანამდებობის პირმა, ფსბ-ს ემიგრაციაში მცხოვრები ექსჩეკისტის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა.

– უშიშროებამ პრეზიდენტის ბრძანება შეასრულა, თუმცა ეს უკანონო იყო, – ამტკიცებს ქალბატონი მარინა, – ფაქტობრივად, ეს იყო ტერაქტი, განხორციელებული უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ტერაქტში რუსეთის პირველი პირის დადანაშაულებისას დიდ ბრიტანეთში აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც ამას შეეწინააღმდეგნენ. რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება ბევრს არ სურდა.

– დავრწმუნდი რა, რომ ნორმალური სასამართლოს ჩატარება შეუძლებელია, ინკვესტის ან საჯარო გამოძიების ჩატარება მოვითხოვე, – განაცხადა რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში მარინა ლიტვინენკომ.

ექსჩეკისტის ქვრივმა აღნიშნა, რომ ინკვესტის დროს წარმოჩნდება ყველა მასალა, რაც წინასწარი გამოძიებისას იქნა მოპოვებული, გამოაშკარავდება მოწმეთა ჩვენებები, ყველაფერი, რაც გამოძიებისას დადგინდა და რის დამალვასაც მავანი ძალები გულდასმით ცდილობენ.

– რუსეთში აშკარა ფაქტებს უგულებელყოფენ. მათ ვერანაირი, თუნდაც მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტი ვერ მოჰყავთ, მხოლოდ ჯიუტად ამტკიცებენ, რომ ლუგოვოის წინააღმდეგ ბრალდება ანტირუსული ძალების მიერ არის შეთითხნილი, – თვლის ქალბატონი ლიტვინენკო.

როცა მავანნი მართლმსაჯულების ზეიმს (თუნდაც, მათი აზრით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე) ხელს უშლიან, სიტყვა საჯარო გამოძიებამ უნდა თქვას. მოსამართლემაც უნდა შეაფასოს ის მტკიცებულებანი, რომლებიც გამოძიებამ შეაგროვა, ფართო საზოგადოებამ კი განსაჯოს, რამდენად დამაჯერებელია მოსამართლის დასკვნა.

– საჯარო გამოძიების წინაშე წარვდგები, როგორც დაზარალებული მხარე, წარდგენიან მოწმეები, ჩემი მეუღლის ნაცნობები და მეგობრები, – განაცხადა მარინა ლიტვინენკომ.

ინკვესტზე, ალბათ, რუსული მხარეც იქნება წარმოდგენილი. წინა სხდომების დროს რუსეთის გენპროკურატურამ ინგლისში საკმაოდ სოლიდური დელეგაცია გაგზავნა. ინკვესტისას მათი არგუმენტებიც იქნება მოსმენილი და გათვალისწინებული და საბოლოო დასკვნას ამის შემდეგ გამოიტანენ.

– იმედია, დადგინდება დამკვეთის ვინაობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მსურს, ყველამ იცოდეს, რომ შურისძიების გრძნობა არ მამოძრავებს. უბრალოდ, მკვლელმა პასუხი უნდა აგოს. მკვლელობის დაუსჯელად დატოვება შეუძლებელია, – განაცხადა ქალბატონმა მარინამ.

ლიტვინენკოს მკვლელობამ მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია. ექსპერტები პარალელს ავლებენ სტეპან ბანდერას მკვლელობასთან (მიუნხენი 1959 წელი). როგორც ცნობილია, ბანდერას მკვლელი, სუკის ოფიცერი ბოგდან სტაშინსკი, დასავლეთ გერმანიის მართლმსაჯულებას თავად ჩაბარდა. კარლ სრუეში ჩატარებულ სასამართლო პროცესზე მას რვა წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლომ ოფიციალურად დაადანაშაულა მკვლელობაში საბჭოთა სახელმწიფო და საბჭოთა სუკი.

– ამან უდიდესი რეზონანსი იქონია. სუკმაც დასავლეთში ტერაქტები მკვეთრად შეამცირა, – წერს ოლეგ კალუგინი, – სუკის მაღალჩინოსნებიც ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ ტერორს აღარ მიმართავდნენ. ეს, რასაკვირველია, ტყუილია (რად ღირს თუნდაც ამინის მკვლელობა!), მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სუკის ე.წ. აქტიური ოპერაციები საზღვარგარეთ მკვეთრად შემცირდა.

ექნება თუ არა ლიტვინენკოს საქმის საჯარო გამოძიებას ისეთივე ეფექტი, როგორიც ბოგდან სტაშინსკის სასამართლო პროცესს ჰქონდა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ნიკა თევზაძე**


## განცხადებები

- იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.
- კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.
- იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავებაშეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავებაშეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება: 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.


## კროსვორდი ბ



*შვეულად:* 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 7. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. თანდაყოლილი, ფერადი გამონაზარდი კანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 18. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 13. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 16. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 19. შთავის კანი თმებიანად; 21. სუბტროპიკული ხილი; 24. რაიმეს მიმდინარეობის სისწრაფე.

*თარაზულად:* 1. თავადაზნაურთა ტიტული საფრანგეთში; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე პოლონელი ავტომრბოლელი; 8. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. მოკლე კინო-სარეკლამო რგოლი; 15. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. აღდგომის მოსალოცი სიმღერა; 20. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ს დაზვერვის ეროვნული ცენტრი; 22. „ფიატის“ მარკის მიკროლიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 23. ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში გავრცელებული მგელი; 25. თევზის ძვალი; 26. მწვერვალი კავკასიონზე; 27. ქართული გაზეთი; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ანეტო; 5. ლიფსიტა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იმაგო.

თარაზულად: 1. ჰეინეკენი; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბულიტი; 10. ხოტი; 11. სუფრული; 13. თეთრა; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. მოციონი.

**კროსვორდი ბ**

შვეულად: 1. სუში; 2. ონი; 3. ხოზაფინი; 4. სი; 5. კომერცია; 6. სუვა; 7. ჟინვალი; 10. ბუტი; 11. საფიჩხია; 12. კორონაცია; 13. პონი; 16. ალუპკა; 18. ფოლორცი; 19. ალონსო; 21. სანტე; 24. რუპია.

თარაზულად: 1. სანახშო; 3. ხერესი; 8. ხორუმი; 9. შობა; 14. სტეკა; 15. დოკერი; 17. ფიცი; 20. ნუნისი; 22. ილორი; 23. ლაჩარი; 25. ოდა; 27. სოია; 26. პერო; 28. პედიატრია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**22 სექტემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6461 | ევრო — 2,1261 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779 | რუსული რუბლი — 0,0512 |

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 24-27, ღამით — 10-18

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 26-30, ღამით — 14-19

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 20-22, ღამით — 6-10

**ამინდის პროგნოზი 22 სექტემბრისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# 24 სექტემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## უნიკალური გამოცემა

# საქართველოს ისტორია ერთ წიგნად!

დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, გამიზნული როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის. მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2009 წლამდე.

## საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება



საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში განვითარებული მოვლენების ფონზე მრავალჯერ გვსმენია, რომ აუცილებელია გაკეთდეს მორაგბეთა მიერ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი განცხადება; რომ ქართველ ხალხს, ჩვენს გულშემატკივარს გააჩნია მოლოდინი ქართული რაგბის ერთიანი პოზიციის დაფიქსირებისა.

განმარტების სახით მოგახსენებთ, რომ რაგბის ოჯახში შემოსვლა არ ხდება პოლიტიკური მსოფლმხედველობისა თუ მრწამსის შესაბამისად და რაგბის თემი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც დანარჩენი საქართველო.

ამის გამო ქართული სარაგბო თემის მიერ ერთიანი პოლიტიკური განცხადების გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებლადაც კი მიგვაჩნია. რეალური ქმედება განცხადებებით არ განისაზღვრება. ქართული რაგბი ყოველგვარი განცხადების გარეშე ყოველთვის იდგა და იდგება იქ, სადაც საქართველოს დასჭირდება.

რაც შეეხება ბოლო დღეებში ტელევიზიითა თუ ინტერნეტით გაშუქებული ვიდეომასალის შეფასებას, გვინდა, განვაცხადოთ შემდეგი:

ქართველი მორაგბეები გმობენ ადამიანის უფლებათა დარღვევის თითოეულ ფაქტს, პიროვნების შეურაცხყოფის, წამებისა თუ დამცირების თითოეულ ქმედებას.

ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ ძალადობის ყველა მსხვერპლსა და მათ ოჯახებს და ვისურვებდით, რომ ასეთი საშინელება ჩვენს ქვეყანაში არასდროს გამეორებულიყოს.

გარდა ამისა, საქართველოს რაგბის კავშირი იუნისეფთან ერთად 2011 წლის აპრილიდან ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია რაგბის მეშვეობით.

ჩვენ ვცდილობდით, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ ბიჭების სწორ გზაზე დაყენებაში, მათი სარაგბო კლუბებში განაწილებით პასუხისმგებლობას ვიღებდით მათ მომავალზე. ამის ფონზე ჩვენთვის კიდევ უფრო ამაზრზენი და შემაძრწუნებელია საპატიმროებში მომხდარი ადამიანის წამების, დამცირების, ღირსების შელახვის ფაქტების ნახვა, მით უმეტეს, რომ აღნიშნულს ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთა მიმართაც.

საქართველოს რაგბის კავშირი გმობს მომხდარს და კატეგორიულად მოითხოვს ყველა დამნაშავის სათანადოდ დასჯას.

## იუმორი



— ა პუნქტიდან ბ პუნქტისაკენ გავიდნენ ველოსიპედისტი, მოტოციკლისტი, ავტომობილი, ავტობუსი, მატარებელი, ურემი, სატვირთო ავტომობილი მისაბმელით და ასფალტის სატკეპნი მანქანა. საინტერესოა, ბ პუნქტში ასეთი რა ხდება?

***

— კომპიუტერთან მუშაობის დროს მთავარია არ აგრძნობინო, რომ გეჩქარება...

***

სიმპათიური გოგონა ავტობუსის გაჩერებაზე დგას და ქარისგან აფრიალებული კაბის დაშოშმინებას ცდილობს. უცბად ვილაც მამაკაცის მზერა შეამჩნია და ეუბნება:

— როგორც ვხედავ, თქვენ ჯენტლმენი არ ყოფილხართ.

— მეც ვხედავ, რომ არც თქვენ ხართ ჯენტლმენი, — პასუხობს მამაკაცი.

## კროსვორდი

*შვეულად:* 1. პირუტყვით მოვაჭრე ძველად; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. საყოველთაოდ აღიარებული აზრის, მსჯელობის საწინააღმდეგო, მკვეთრად განსხვავებული; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. მსუსხავი ბალახი; 8. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები უძველესი ქართული ტომები; 9. ოსური ხაჭაპური; 12. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 14. ბოშათა წინამძღოლი; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

*თარაზულად:* 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მუსლიმანთა მარხვა; 7. ძნელი, აუტანელი ტანჯვითი ცხოვრება; 9. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი, მამაკაცი; 10. ფულის ერთეული თურქეთში; 11. სან-რემოს კინოფესტივალის გრან-პრის მფლობელი თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 13. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 15. იმრე კალმანის ოპერეტა; 17. ჩანჩქერი კანადა-ამერიკის საზღვარზე; 18. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 19. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; 20. ლირიკული სიმღერა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## ასტროპროგნოზი

### 22 სექტემბერი – არ წამოეგოთ პროვოკაციას

**ვერძი** – თქვენი აზრი გამოთქვით, მაგრამ თავს ნურავის მოახვევთ. **კურო** – ნუ გაფლანგავთ ფულს, ცოტა შეინახეთ. **ტყუპები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **კირჩხიბი** – როგორც მოიქცევით, სხვებიც ისე მოგექცევიან. **ლომი** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, დაჯილდოვდებით. **ქალწული** – ახალ საქმეს ფულიც მოჰყვება. **სასწორი** – ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები თავს დაგტრიალებენ. **ღრიანკალი** – ძნელად, მაგრამ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის მშვიდად იყავით. **თხის რქა** – ფული გაქვთ, მაგრამ ხარჯიც სოლიდურია. **მერწყული** – გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **თევზები** – პარტნიორს ხვდებით, კარგად უნდა მოემზადოთ.

### 23 სექტემბერი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – გზიდან ვილაც ჩამოდის და თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს. **ლომი** – რომანტიკული თავგადასავალი თავბრუს დაგახვევთ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** – არ აყვეთ პროვოკაციას, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, პრობლემას ადვილად გადაჭრით. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – დაისვენეთ, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – საჩუქარს მიიღებთ, ძალიან მოგეწონებათ. **თევზები** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## შაკირა ჟერარ პიკესგან ბავშვს ელოდება



უკვე რამდენიმე თვეა რაც, პრესა შაკირას ორსულობაზე ალაპარაკდა. ამბობდნენ, რომ მომღერალი თავის პირველ შვილს ფეხბურთელ ჟერარ პიკესგან ელოდება. ორი დღის წინ, კი კოლუმბიელმა ვარსკვლავმა ეს ინფორმაცია საკუთარ ფეისბუკის გვერდზე დაადასტურა. „ზოგიერთმა თქვენგანმა შეიძლება უკვე იცით, რომ მე და ჟერარი ბედნიერები ვართ, რადგან ჩვენს პირველ შვილს ველოდებით! ორივემ გადავწყვიტეთ, რომ ამ სიხარულით დავტკბეთ და ყველა დაგეგმილი ღონისძიება გადავდოთ. ჩემს თაყვანისმცემლებს მათი სიყვარულისა და გაგებისათვის მინდა მადლობა გადავუხადო“– გაგვანდო შაკირამ. სულ რამდენიმე დღის წინ, შაკირა ტელეშოუ „The Voice“-ის ახალი ჟიური გახდა, სადაც ამ პოსტზე კრისტინა აგილერა შეცვალა. ჯერ უცნობია, თუ რა გავლენას მოახდენს მომღერლის ორსულობა გადაცემის გრაფიკზე.

ატბ-ნიუსი

## ლინდსი ლოჰანი კვლავ დააპატიმრეს

მანქანის მართვა ლინდსი ლოჰანის ყველაზე ძლიერი მხარე ნამდვილად არ გახლავთ. მსახიობი უსიამოვნებებში ძალიან ხშირად ეხვევა, ხოლო ამ ისტორიათა უმეტესი ნაწილი ავტო-საგზაო შემთხვევებს წარმოადგენს. პორტალ „“-ისთვის ხნობილი გახდა, რომ 19 სექტემბრის დილას ვარსკვლავი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა და შემდეგ მიიმალა. საიტის ინფორმაციით, ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ლოჰანი თავისი „“-ით მანჰეტენის ქუჩაზე მანქანას აჩერებდა. ავტომობილში ლინდსი მარტო არ გახლდათ. მისი თანამგზავრი, რომელის ვინაობაც უცნობია, დარჩა და პოლიციის მოსვლას დაელოდა, ხოლო თავად მსახიობი, სასტუმროში ავიდა, სადაც ნომერი ჰქონდა ნაქირავები. თუმცა, ვარსკვლავი მალევე სასტუმროდან გამოსვლისას დააკავეს და მომხდარის ადგილის მიტოვებაში დაადანაშაულეს. დაზარალებულმა მუხლის ტრავმით საავადმყოფოს მიაკითხა. ჯერ უცნობია, თუ რამდენად სერიოზულია მისი მდგომარეობა. ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ მსახიობი პოლიციის განყოფილებიდან უკვე გაათავისუფლეს, თუმცა, უცნობია მორიგი ავტო-საგზაო შემთხვევა ლოჰანისთვის როგორ შემობრუნდება.

ატბ-ნიუსი

## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია აცხადებს მიღებას:

- გიდის (I, II, III, IV საფეხური)
- ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) (I, II, III, IV, V საფეხური)
- კორესპონდენტი (III საფეხური)
- მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური)

I, II, III საფეხურზე მიიღებიან გასაუბრების წესით 9-12 კლასდამთავრებულები.

IV, V საფეხურზე „ზოგად უნარებში“ გამოცდაჩაბარებულები.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

თბილისი, მ.კოსტავას 47. 599 188924, 2936603, 2999626, 2990724.